# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 30 აგვისტო 2007 №199 (3122) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ არის ჩვენთვის ყველაფერი ლანდი?

## ევროპის ჩემპიონატი. B დივიზიონი

საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე წრე. C ჯგუფი. VII ტური. რეიკიავიკი. გუშინ

## ისლანდია 76:75 საქართველო

18:23 18:15 16:17 24:20

სტეფანსონი (3), სიგუდარსონი (16), ვილბერგსონი (7), ბირმინგემი (13), ლ. გუნარსონი (17); მ. გუნარსონი (6), ბიორნსონი (2), მაგნუსონი (4), ფ. ოლაფსონი (6)

ელისი (17), ა. ბოისა, მარკოიშვილი (16), ვ. ბოისა (14), ფაჩულია (15 ქულა, 11 მოხსნა); ცინცაძე (9), სანიკიძე (3), ნაცვლიშვილი (1), გამყრელიძე

### ქართველები მალე პინგვინებთანაც წააგებენ.

### და არა მხოლოდ კალათბურთში...




მორჩა, გათავდა, კიდევ ერთხელ დასრულდა ქართველი კალათბურთელების წვალება. კენ შილდსის გუნდმა წუხელ ისლანდიასთან წააგო და A დივიზიონში გადასვლის შანსს ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე გამოეთხოვა.

არადა, როგორი იმედი გვქონდა, რომ ახლა მაინც დავაღწევდით თავს ევროპის სუსტი გუნდების მარაქას, მაგრამ... საქართველოს ნაკრებს ვერც მესამე უცხოელმა მწვრთნელმა უშველა — კენ შილდსის გუნდი ისევე უსუსურად გამოჩნდა ევროსარბიელზე, როგორც მისი წინამორბედების, დრაგენ ბრაიკოვიჩისა და გორდონ ჰერბერტის გაწვრთნილი ქართველები.

მესამე ცდა და მეექვსე წელია, A დივიზიონში აღზევებას ვეშურებით. თითქოს არც მოთამაშეები გვაკლია, მწვრთნელიც უცხოელი მოვიწვიეთ, ორი ამერიკელი გავაქართველეთ და ნაკრებმაც ხანგრძლივი ევროპული შეკრებები გაიარა, თუმცა რად გინდა... ისლანდიასთან რომ წააგებ, A დივიზიონის პრეტენზია არ უნდა გქონდეს.

ამ ისლანდიამ ჯგუფში მხოლოდ ლუქსემბურგს მოუგო და მერე რა, რომ შინ მებრძოლი გუნდის სახელი აქვს დაგდებული. ჩვენს გუშინდელ მეტოქეს ერთი მოთამაშეც არ ჰყავს ისეთი, ევროპის საშუალო გუნდში რომ აიყვანენ, მაგრამ ნბა-ში და ევროპის ძლიერ კლუბებში გაფანტული ტალიკ-ტალიკ ბიჭებით სავსე საქართველოს კი მოუგო.

თამაშზე არაფერია სათქმელი. რეიკიავიკიდან პირდაპირ რეპორტაჟს ალბათ მთელმა საქართველომ უყურა, თუმცა ძველი ანეგდოტისა არ იყოს, ამ თამაშის ყურებას „სვარკის" ყურება ჯობდა. თავიდან ბოლომდე უსუსური იყო ქართველების თამაში. იყო მომენტები, როცა ჩვენების უპირატესობა ათ ქულამდე ავიდა, მაგრამ დაცვაში გაუმართლებელი შეცდომების გამო ისლანდია კუდზე გვაჯდა.

ისე, სიმართლე ითქვას, ისლანდიელებს მაგრად გაუმართლათ ბოლო წამებზე. რომ არა იღბალი, ისინი გუშინ ვერ იმარჯვებდნენ, მაგრამ ეს არგუმენტი სასაცილო და შეურაცხმყოფელია თავის გასამართლებლად.

ისეთი ფინალი გამოვიდა, თრილერი რომ ეთქმის და კალათბურთში იშვიათად ხდება. სირენამდე 5 წამით ადრე ქართველები 3 ქულას იგებდნენ და იმის შიშით, რომ ისლანდიელებს შემთხვევითი გასროლით ანგარიში არ გაეთანაბრებინათ, ტაირონ ელისი დაჯარიმდა. ხუთად ხუთი წამი და სამქულიანი მარაგი. ძალიან არ უნდა გაგიმართლოს, ეს უპირატესობა რომ ვერ შეინარჩუნო.

მასპინძელთა შეუჩერებელმა მსროლელმა ლოჯი გუნარსონმა პირველი საჯარიმო ჩააგდო. ყველამ იცოდა, რომ მეორეს განზრახ ააცილებდა, მაგრამ ქართველებს არ გაუმართლათ. ფარიდან ასხლეტილი ბურთი ფანარ ოლაფსონს მიუვიდა, მაგრამ ხელში ვერ შეიმაგრა. ბურთი პერიმეტრისკენ გაქანდა, რომელსაც ნახტომში ხელი იმავ გუნარსონმა მიჰკრა და პერიმეტრსმილმა მდგარ თავის მოგვარე მაგნუსს გადააწოდა. სროლა, ჩაგდებული სამქულიანი და საფინალო სირენა. ეს იყო ქართული კალათბურთის ტრაგედია, რომელმაც A დივიზიონში გადასვლის პერსპექტივა მინიმუმ 2 წლით შეაფერხა.

**ირაკლი პერტაია**

| ავსტრია 79:46 ლუქსემბურგი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **სატურნირო ვითარება** | | | | | |
| ფინეთი | 6 | 6 | 0 | +155 | 12 |
| საქართველო | 7 | 5 | 2 | +90 | 12 |
| ავსტრია | 6 | 3 | 4 | -21 | 10 |
| ისლანდია | 6 | 2 | 4 | -39 | 8 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 6 | -185 | 6 |

# არა კაცს ჰკლა!



ვითომ ამდენი ცოდნა,
ვითომ ამდენი ექიმი,
ვითომ ამდენი აღდგენა,
ვითომ ამდენი აბი და სითხე

ფეხბურთელები კი მოედანზე ეცემიან და კვდებიან

ვინ და რა ურტყამს ფეხბურთს შიგ გულში?

## გუშინ სევილიაში ანტონიო პუერტა დაკრძალეს

# LE CONTRAT ლე მანთან
## ფანცხავა და სანაია სამი წლით გაფრანგდნენ



**საფრანგეთის** პრემიერდივიზიონის „ლე მანთან“ ორმა ქართველმა ფეხბურთელმა, „ზესტაფონის“ ნახევარმცველმა ამირან სანაიამ და „გაგრას“ თავდამსხმელმა ვახტანგ ფანცხავამ გააფორმა კონტრაქტი. ისინი მთავარ გუნდთან ერთად ივარჯიშებენ და სარეზერვო გუნდში ითამაშებენ.

გუშინ „გაგრას“ პრეზიდენტ ბესო ჩიხრაძეს საფრანგეთში შევეხმიანეთ. იგი ფანცხავას და სანაიას კონტრაქტებზე ხელისმოწერას დაესწრო და დაგვიდასტურა, რომ ქართველი ფეხბურთელები „ლე მანში“ სამი წლით დარჩებიან.



**ნუგზარი ლოლაძე**

# ვენა ვენებს არ გადაიჭრის

**დღეს** ღამე ქართული კლუბებისთვის ევროტურნირები ალბათ დასრულდება, თუმცა საალბათოც რაღაა — თბილისის „დინამო“ შინ წაგებული 0:3-ით ჩავიდა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში და, ფაქტობრივად, სწორედ ორი კვირის წინ დაასრულა უეფას თასზე თამაში. „რაპიდთან“ საპასუხო მატჩს ფორმალური ხასიათიღა შერჩა.



თამაში „გერჰარდ ჰანაპის“ 17-ათასიან სტადიონზე თბილისის დროით ღამის თერთმეტის ნახევარზე დაიწყება და კვიპროსელები იმსაჯებენ. მთავარი პანაიოტის კაილისია იქნება, გვერდითები ვასოს არგირიუ და კიპროს ნიკოლაუ, ხოლო მეოთხე პანიკოს ანდრონიკუ.

სანამ „რაპიდი“ თბილისში კონცერტს დადგამდა, ავსტრიის მაქსბუნდესლიგაში მეხუთე ადგილზე იყო, ახლა კი, თქვენ წარმოიდგინეთ, ლიდერია: გასულ უქმეებზე „თეთრ-მწვანეებმა“ თანაქალაქელი „აუსტრია“ 3:0 გაანადგურეს, გოლები კი ბრანკო ბოშკოვიჩმა (26 წუთზე), შტეფან ჰოფმანმა (76) და მატეი ბილიჩმა (90) გაიტანეს.

დინამოელთა მწვრთნელმა დუშან უჰრინმა ვენაში სამი წამყვანი ფეხბურთელი ვერ იახლა: გაბონელი მეკარე დიდიე ოვონო სწორედ „რაპიდთან“ თამაშისას დაშავდა. დაშავებულები არიან მცველი შოთა კაშია და ნახევარმცველი დავით ოდიკაძე.

**ილია ნანობაშვილი**

თბილისელთა საავსტრიო შემადგენლობა ასეთია:

*მეკარეები: გიორგი ლორია, გიორგი მაკარიძე;*

*მცველები: ნედ ზელიჩი, გურამ კაშია, გულვერდ თომაშვილი, რომან დობეში, მილოშ კრშკო;*

*ნახევარმცველები: ლევან ხმალაძე, დავით დიღმელაშვილი, ნიკა ფირცხალავა, სანდრო კობახიძე, გიორგი მერებაშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, მიხეილ ხუციშვილი;*

*თავდამსხმელები: ჟორჟ აკირემი, ილია სპასოევიჩი, ბორის გოჩნაროვი.*

# იმერული ტრანსფონი
## უჩა უკვე და ეტიენიც რიგშია

**31 აგვისტომდე,** სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე „ზესტაფონმა“ თბილისის „დინამოს“ ყოფილი მცველი, ახალგაზრდული ნაკრების წევრი უჩა ლობჟანიძე გადაიბირა: იმერულმა კლუბმა ლობჟანიძესთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. წინა სეზონში უჩა „ბათუმში“ იყო განათხოვრებული და გუნდის ერთ-ერთი ლიდერიც გახლდათ.

სავარაუდოდ, ზესტაფონურ გუნდში დარჩება გასინჯვაზე მყოფი გაბონელი თავდამსხმელი ეტიენ ბიტოოც, რომელზეც მწვრთნელ თემურ მახარაძეს კარგი შთაბეჭდილება შექმნია და მისი ტრანსფერიც დღეების ამბავია.



**ნუგზარი ლოლაძე**

# კობიაშვილმა ლუქსემბურგი უკვე მოირჩინა



ლუქსემბურგ-საქართველოს ამხანაგური მატჩისას დაშავებამ ლევან კობიაშვილს ერთი კვირა გააცდენინა — მას კუნთი დაეჭიმა და 30-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა. ლევანს „ვოლფსბურგთან“ ბუნდესლიგის ჩემპიონატის მატჩის გამოტოვებაც მოუხდა, ახლა კი უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს და „ლევერკუზენთან“ საშინაო შაბათის მატჩისთვის ემზადება. იმედია, უკრაინასთან ევროშესარჩევ შეხვედრას, რომელიც 8 სექტემბერს გაიმართება, კობიაშვილი სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## საქართველოს ჩემპიონატი
### პირველი ლიგა

დასავლეთი ზონა

გადადებული მატჩი

ფაზისი 0:3 ზესტაფონი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი (ფ) | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| მეშახტე | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| მადაროელი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| ზესტაფონი 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| უნივერსიტეტი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| მარტვილი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ტორპედო | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| კოლხეთი (ხ) | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| სამტრედია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| ფაზისი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
### მეთექვსმეტედფინალი

www.pfl.ge

# არ ვართ იგივე მარად და მარად
## ტორპედო და კოლხეთი: ძველი წაიღო რიონმა

**დრო** იყო, თასის მეთექვსმეტედფინალში „ტორპედო“ — „კოლხეთი“ ცენტრალური იქნებოდა, ახლა კი...

ქართული ფეხბურთის ორ ძველ და სახელიან გუნდს მძიმე დროება უდგას — უფულობის გამო ჯერ ფოთელები მოიკვეთნენ უმაღლესიდან, წლეულს კი მათ გზას რიონისპირელებიც გაუყენეს.

გუშინ ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა გუნდებმა ერთმანეთს, რაც შეეძლოთ, ბრძოლა გაუჩაღეს. ამის დასტური ექვსი ყვითელი ბარათიცაა. ქუთაისელები მასპინძლის წილ მცირე უპირატესობას ფლობდნენ და, სულ მცირე, ოთხჯერ შეეძლოთ გატანა, აქედან ერთხელ ძელსაც გაარტყეს ბურთი. ორი რეალური მომენტი ფოთელებსაც ჰქონდათ, თუმც მასპინძელთა მეკარე თენგიზ ბზიკაძემ იყოჩაღა. საბოლოოდ, უგოლო ფრე.

ერთი სიტყვით, ამ წყვილში ყველაფერი 5 სექტემბერს ფოთში გადაწყდება და ის ბოლო გუნდიც გაირკვევა, რომელიც მერვედფინალის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს.

**ტორპედო:** *ბზიკაძე, გაბუნია, ვაჩიბერაძე (ხინვავა 46), ჯოხაძე (კეჭეყმაძე 46), დათიაშვილი, გოდერიძე, კირკიტაძე, დანელია, გორგოძე (ძაგანია 65), შავგულიძე, მდივნიშვილი*

**კოლხეთი:** *მიქავა, ტყებუჩავა, ცქვიტაია, წაბრია, ლემონჯავა, აბურჯანია (ხიზანიშვილი 46), გვიჩია (სიჭინავა 78), სახოკია, კარტოზია (ალასანია 58), ნარსია, ციკოლია.*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**29 აგვისტო:** „დუშეთი“ 0:0 „კახეთი“ (2:3); „მგლები“ 3:0 „სამტრედია“ (2:0);

# სიონი: დაუგეგმავი შეკრება მიმატებით

**ბოლნისის** „სიონმა“ პირველლიგელ „მადაროელთან“ ორივე სათასო შეხვედრა დათმო — შინ 0:1 წააგო, ჭიათურაში კი 2:5 განადგურდა, რასაც მწვრთნელ ნოდარ აკობიას გადაყენება მოჰყვა.

გუშინ „სიონის“ კრება გაიმართა. გადაწყდა, რომ მწვრთნელის მოვალეობას გიორგი ყიფშიძე შეასრულებს, მას კი კახა გოგიჩაიშვილი დაეხმარება. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ორი დღელაა დარჩენილი და ბოლნისელები, სავარაუდოდ, ამჟამად უგუნდოდ მყოფ ფეხბურთელებს დაიმატებენ: მეკარე ზვიად სტურუას და ნახევარმცველებს — გიორგი კვიტაიშვილს და გიორგი ქუცურუას, რომლებსაც ადრეც უთამაშიათ „სიონში“.

**ნუგზარი ლოლაძე**

## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
### მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

**დინამო** *(უკრაინა)* **3:0 სარაევო** (ბოსნია) (1:0)
1:0 ი. ბანგურა (3), 2:0 ს. მილოშევიჩი (77ს.კ.), 3:0 რებროვი (90პ)

**შახტარი** *(უკრაინა)* **3:1 ზალცბურგი** (ავსტრაი) (0:1)
0:1 რ. მეიერი (5), 1:1 კ. ლუკარელი (9), 2:1 ნ. კასტილიო (78პ), 3:1 ბრანდაო (86)

**ბეშიქთაში** *(თურქეთი)* **2:0 ციურიხი** (შვეიცარია) (1:1)
1:0, 2:0 მ. დელგადო (56, 64)

**სტიაუა** *(რუმინეთი)* **2:0 ბატე** (ბელარუსი) (2:2)
1:0 ზახარია (12), 2:0 ნიაგა (54)

**ანდერლეხტი** (ბელგია) **0:2 *ფენერბაჰჩე*** *(თურქეთი)* (0:1)
0:1 კეჟმანი (3), 0:2 ალექსი (73)

**დინამო** (ხორვატია) **2:3 *ვერდერი*** *(გერმანია)* (1:2)
0:1 დიეგო (13პ), 1:1 ვუკოიევიჩი (21), 1:2 სანოგო (38), 2:2 მოდრიჩი (41პ), 2:3 დიეგო (70პ)

**სლავია** *(ჩეხეთი)* **2:1 აიაქსი** (ჰოლანდია) (1:0)
1:0 ვლჩეკი (22), 1:1 ლ. სუარესი (33), 2:1 ვლჩეკი (86)

**სელტიკი** *(შოტლანდია)* **1:1დ.დ.(პენ.4:3, 1:1) სპარტაკი** (რუსეთი) (1:1)
1:0 მაკდონალდი (28), 1:1 პავლენკო (45)

**ელფსბორგი** (შვედეთი) **1:2 *ვალენსია*** *(ესპანეთი)* (0:3)
0:1 ი. ელგერა (5), 1:1 ალექსანდერსონი (31), 1:2 ვილია (90)

**კოპენჰაგენი** (დანია) **0:1 *ბენფიკა*** *(პორტუგალია)* (1:2)
0:1 კაცურანისი (17)

**არსენალი** *(ინგლისი)* **3:0 სპარტა** (ჩეხეთი) (2:0)
1:0 როსიცკი (8), 2:0 ფაბრეგასი (82), 3:0 ედუარდო (90)

**რუსენბორგი** *(ნორვეგია)* **2:0 ტამპერე** (ფინეთი) (3:0)
1:0 საპარა (45), 2:0 კონანი (49)

### ამხანაგური მატჩი
ბარსელონა 5:0 ინტერი

### ინგლისი
ლიგის თასი. III ეტაპი

ბრისტოლი 1:2 *სიტი*
*ნიუკასლი* 2:0 ბარნსლი
*მიდლსბრო* 2:0 ნორთჰემპტონი

### იტალია
თასის III ეტაპი

*ტორინო* 3:2დ.დ.(2:2) რიმინი
*ასკოლი* 2:1დ.დ.(1:1) ატალანტა
*კალიარი* 2:1 სიენა
ტრიესტინა 0:0(პენ.2:4) *კატანია*
*უდინეზე* 3:0 ბარი
*ნაპოლი* 1:1დ.დ.(პენ.4:3, 1:1) ლივორნო
*რეჯინა* 3:2 პიაჩენცა
პარმა 1:3 *იუვენტუსი*

### საფრანგეთი
I დივიზიონი. VI ტური

მარსელი 0:2 ნიცა
ოსერი 0:2 რენი
ლე მანი 0:2 პსჟ
ლილი 0:1 მონაკო
მეცი 0:1 ბორდო
სენტ ეტიენი 2:0 სტრასბური
სოშო 1:2 ლიონი
ლორიანი 1:3 ვალანსიენი
ლანსი — კაენი გადაიდო

### შოტლანდია
ლიგის თასი. III ეტაპი

*დანდი იუნ.* 2:1 როსი
*მოზერუელი* 3:1 რეითი

### უნგრეთი
ბორსოდი ლიგა. VI ტური

ნიირედიჰაზა 1:0 დიორი

# აფრინდა, აფრინდა და... დაფრინდა

## ჰერბერტ ცანკერის ჰილჰილიანი იმედი



საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს სექტემბერში 2008 წლის ევროშესარჩევის ჯგუფური ეტაპი ელის, რომელიც ბულგარეთში გაიმართება. მასპინძელთა და ქართველთა გარდა, იქ უნგრეთი და ხორვატიაც ითამაშებენ, ჯგუფიდან კი ორი საუკეთესო გავა შემდეგ შესარჩევ ეტაპზე. საბულგარეთო მზადებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო ტურნირი პალანგაში იყო, სადაც ჰერბერტ ცანკერის გაწვრთნილმა ქართველმა ჭაბუკებმა შვიდ გუნდში მეხუთე ადგილი დაიკავეს. გერმანელი მწვრთნელი შედეგით რომ უკმაყოფილო დარჩებოდა, ეს ცხადია, თუმცა... მას პალანგასა და ბულგარეთამდე დარჩენილ მოსამზადებელ პერიოდზე ვკითხეთ...

— პალანგის ტურნირი საშინლად დაიწყეთ...

— სტარტი მართლაც ძალიან უხეირო იყო და ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა. პალანგის რეისზე აფრენიდან ცოტა ხანში თვითმფრინავს პრობლემები შეექმნა და უკან დაბრუნება მოგვიხდა. სხვა თვითმფრინავში გადაგვსხეს და სასტუმროში გვიან დავბინავდით. დაძაბულმა და ნანერვიულებმა ბიჭებმა ნორმალურად დასვენება ვერ მოასწრეს. მეორე დღეს აზერბაიჯანთან პირველივე მატჩი 0:2 წავაგეთ, მაგრამ არა იმიტომ, რომ მეტოქე იყო ძლიერი, ჩვენ ვითამაშეთ სუსტად.

რუსეთის წინააღმდეგ სულ სხვა თამაში იყო. მთელი პირველი ტაიმი ბურთს ჩვენ ვაკონტროლებდით, რუსები უხეშობდნენ და ერთი მოთამაშეც გაუძევეს, თუმც ჩვენები ოდნავ მოდუნდნენ და ტაიმის ბოლოს პირველი გოლიც მივიღეთ. გატანა მალევე კი შევძელით, მაგრამ თანამსაჯმა გოლი არ ჩათვალა, თამაშგარე იყოო. საერთო ჯამში, წაგების მიუხედავად რუსებთან თამაშით უკმაყოფილი არ დავრჩი, თუმცა შედეგი 0:4, რა თქმა უნდა, მწარე იყო. ამ მატჩისას უკეთ დავინახე ჩვენს თავდასხმასა და დაცვაში არსებული პრობლემები, რამდენიმე მოთამაშე შევცვალე კიდეც და მესამე და მეოთხე შეხვედრები მოვიგეთ, თუმცა პალანგიდან სასურველი შედეგით ვერ დავბრუნდით.

— რა გაფიქრებინათ, რა მოგცათ ამ ტურნირმა?

— ეს ტურნირი დიდი რეპეტიცია იყო ევროშესარჩევი მატჩებისთვის. საშუალება მოგვეცა, გაგვერკვია, რა დატვირთვას გაუძლებდნენ ბიჭები. მათ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების წარმოჩენის შანსი მიეცათ. პირველ წუთებში მობილიზება ნამდვილად გვიჭირს, რითაც მეტოქეს უპირატესობას ვაძლევთ, ეს კი აუცილებლად გამოსასწორებელია და აღარ უნდა განმეორდეს.

— სელექცია უკვე დაასრულეთ?

— თერთმეტი ფეხბურთელი უკვე შერჩეულია. მომავალ კვირაში დანარჩენებსაც დავასახელებთ. ამ მიზნით, 18 კანდიდატს საწვრთნელ მატჩებს ვათამაშებთ და ამის მიხედვით შევავსებთ სიას.

— კიევის „დინამოს“ ჭაბუკთა გუნდში მოთამაშე ჯანიკო ანანიძეზე რას იტყვით, რამდენად პერსპექტიულია?

— ტურნირამდე ტრავმა ახალმოშუშებული ჰქონდა, იქაც დაშავდა და ამიტომ ვერ შეძლო იმის ჩვენება, რაც შეუძლია. ის მართლაც ძალიან პერსპექტიული ბიჭია, თუმცა ჯერ ბევრი აქვს სასწავლი. მხოლოდ თხუთმეტი წლისაა, მისი ემოციურობაც მსაჯთა საეჭვო გადაწყვეტილებებისას სწორედ ამით აიხსნება. ეს გამოსწორდება, რადგან გამოცდილებასთან ერთად თავშეკავებაც მოვა. მან კი სტაბილურად თამაში უნდა დაისახოს მიზნად.

— შესარჩევ ტურნირამდე რა გეგმები გაქვთ?

— ამ შაბათ-კვირას საფეხბურთო სკოლებში წვრთნებს და თამაშებს დავესწრებით, რათა დავრწმუნდეთ, რომ კანდიდატები სწორად შევარჩიეთ. გუნდის სრულად დაკომპლექტების შემდეგ 7-დან 13 სექტემბრამდე ურეკში გვექნება შეკრება, სადაც სამ ტესტ-მატჩს ჩავატარებთ. 16-ში კი პორტუგალიაში გავემგზავრებით და ამ ქვეყნის ჩვიდმეტწლამდელებთან ორ ამხანაგურ შეხვედრას გავმართავთ. იქიდან კი ბულგარეთში წავალთ, სადაც 24 სექტემბერს ხორვატებთან გვექნება პირველი მატჩი. იმავე დღეს უნგრეთი ბულგარეთს ეთამაშება და ამ მატჩის ვიდეოგადაღებასაც ვგეგმავთ. ასე რომ, შანსი გვექნება, ორივე მეტოქეს კიდევ ერთხელ დავაკვირდეთ. მე უკვე ვნახე ხორვატთა და უნგრელთა ორ-ორი შეხვედრა. ბულგარელებს ბოლოს ვხვდებით და მათი შესწავლისთვის საკმაო დრო გვექნება. სამივე მეტოქე საკმაოდ უხეშად თამაშობს. ბიჭებმა უნდა შეძლონ და ამ წნეხს გაუძლონ. ჩვენი მთავარი მიზანი ხომ მომდევნო ეტაპზე გასვლაა.

**ნინო სილაგაძე**

# თურქი აგენტის ანალიზი: ქართველებს ფეხბურთი გენებში გაქვთ, მაგრამ...

## ზურაბ ხურციძემ „ბეშიქთაშის“ კარს მიუკაკუნა



**საქართველოში** თურქული „ბეშიქთაშის“ აგენტი სულეიმან აკინი სტუმრობს. მისი ვიზიტის მიზანი 17-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი ზურაბ ხურციძეა.

აკინი ადრე მწვრთნელობდა, თან არცთუ ურიგოდ — 2000-01 წლებში თურქეთის შავი ზღვის სანაპიროს საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. მისი აღმოჩენილია თურქეთის ნაკრებისა და „ტრაბზონსფორის“ ლიდერი გოკდენიზ კარადენიზი. ორი წლის წინ კი აგენტის ლიცენზია მიიღო და ფეხბურთელებს მარტო „ბეშიქთაშისთვის“ არ არჩევს.

„ხურციძის თამაში თურქეთ-საქართველოს 17-წლამდელთა მატჩისას ვნახე. ყველაზე მეტად ის მომეწონა, რომ კარგად აზროვნებს, ტექნიკურიცაა. თუ ოჯახი უფლებას მომცემს, დღესვე წავიყვან „ბეშიქთაშში“. შემეძლო, მისთვის სხვა კლუბებიც მომეძებნა, მაგრამ რეკომენდაციას უფრო „ბეშიქთაშში“ გავუწევ“ — გვითხრა აკინმა.

„ბეშიქთაშის“ აგენტი საქართველოში კლუბის პრეზიდენტის ნებართვითაა, თავად გუნდის მწვრთნელს ხურციძის თამაში ჯერ არ უნახავს.

„ფეხბურთელებს მე ვეძებ. პრეზიდენტს ხურციძის შესახებ ველაპარაკე და მისი ნებართვით ჩამოვედი. ხურციძე ჯერ მეორე გუნდში ითამაშებს, 17 წლისას კი პროფესიონალობა ანუ კონტრაქტის გაფორმებაც შეეძლება. მანამდე ჩვეულებრივ ივარჯიშებს, შემდეგ კი მწვრთნელთა საბჭო შეიკრიბება და გადაწყვეტს, ითამაშოს თუ არა პირველ გუნდში. ცხადია, დაინტერესებული ვარ, რომ ამ ფეხბურთელმა გამიმართლოს“.

თუ ხურციძემ გაუმართლა, აკინი კიდევ ორი ფეხბურთელის წაყვანას აპირებს, თუმც გვარებს ჯერ არ ასახელებს. საერთოდ, აკინი ქართულ ფეხბურთში საკმაოდ ჩახედული აღმოჩნდა.

„საზღვრების გახსნის შემდეგ საქართველოში ხშირად ვარ. რამდენიმე დღის წინ „ლოკომოტივი“ — „ამერის“ მატჩს დავესწარი — ლევან ყენია მომეწონა. ქართველებს ფეხბურთელობა გენებში გაქვთ, მაგრამ მერე დისციპლინაში მოიკოჭლებთ. საერთოდ, ბოლო დროს ისეთი ფეხბურთელები აღარ იზრდებიან, შოთა არველაძე და კახა კალაძე რომ არიან, თორემ საქართველოდან არაერთი ფეხბურთელის წაყვანა გვინდოდა. ადრე ჯაბა კანკავა, ახლა კი გიორგი ლომაია მინდოდა, „ბურსაში“ გადამეყვანა, მაგრამ პირობებზე ვერ მოვრიგდით. ისე, ინტერნეტით კანკავას სტატისტიკას ახლაც თვალს ვადევნებ და სულ პრობლემები აქვს — თამაში არ გავა, ყვითელი ან წითელი ბარათი არ მიიღოს“.

16 წლის ხურციძე თავდამსხმელია, ვარჯიში ქუთაისში ალეკო კვერნაძესთან დაიწყო. შარშან 4 მატჩი „ტორპედოს“ შემადგენლობაში უმაღლეს ლიგაშიც ითამაშა. ახლა „დინამოს“ ჭაბუკთა გუნდში ბაგრატ ჩადუნელთან ვარჯიშობს, თუმც საკონტრაქტო ვალდებულებებისგან თავისუფალია. როგორც შევიტყვეთ, ხურციძეს იტალიური ვარიანტიც ჰქონია. საქართველოში ადრე მწვრთნელად ნამუშევარ ჯანი კარნევალეს სურს, „ჯენოაში“, „ინტერში“ ან „ემპოლიში“ მოაწყოს, მაგრამ იტალიიდან გარკვეული პასუხი ჯერ არ ჩანს, ამიტომ თავად ფეხბურთელი და მისი ოჯახი ამ ეტაპზე თურქულ ვარიანტს ამჯობინებს.

აკინს ისიც ვკითხეთ, ნაკრებში გამოძახების შემთხვევაში ხურციძეს რაიმე პრობლემები ხომ არ შეექმნება კლუბიდან, რაზეც გვიპასუხა — პირიქით, ყველაფერში დაეხმარებიან, ეს თავად კლუბის პრესტიჟიაო.

**გაჩა ხუციშვილი**
**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# აშვეთია-აბრამიძეს შეუძლიათ დაიწყონ

მიხეილ აშვეთიასა და ვალერი აბრამიძის „ანჟიში“ კონტრაქტის გაფორმებას საშველი დაადგა. კარგა ხანია, ორივე ომარ თეთრაძის გუნდში ვარჯიშობს და ერთი ხანობა წამოსულებიც იყვნენ მახაჩყალიდან, აშვეთია რუსული პრემიერლიგის „ამკარშიც“ ისინჯებოდა.

აშვეთია-აბრამიძეს რუსული პირველი დივიზიონის მომავალ ტურშივე შეეძლებათ თამაში.

**ილია ნანობაშვილი**



# დეფოფული თუ დეფოშონი?

## ხვალ უკვე პარასკევია



ჯერმენ დეფო

**აგვისტო** ილევა, სატრანსფერო ბაზარი დახურვის პირასაა და კლუბებმაც გაცხოველებული ვაჭრობა გააჩურეს. ახლა ისეთი დროა, როდესაც გაზეთებს განსაკუთრებით უჭირთ: ერთს დავწერთ და სანამ დაიბეჭდება, მეორე მოხდება. მით უფრო თუ ჩვენსა და ევროპას შორის სასაათო ზოლებია ანუ „ბებერი კონტინენტიდან" შორია გურჯისტანამდე.

ახლა კი, როდესაც შესაძლო გაუგებრობებისგან თავი დავიზღვიეთ, მოგახსენებთ, რომ „ჩელსი" და „ტოტენჰემ ჰოთსპური" ვაჭრობენ და ამ ვაჭრობის შედეგი შესაძლოა, შონ რაიტ-ფილიპსსა და ჯერმენ დეფოს შეეხოს. რამდენადაც გაზეთ „სანისთვის" გახდა ცნობილი, მთავარი სირთულე დეფოს ფასის ზუსტი განსაზღვრაა.

ზუსტად კი საქმე ასეა: „მანჩესტერ იუნაიტედს" ფრთების გასაძლიერებლად ტოტენჰემელი დეფოს ყიდვა უნდა და ცდილობს, ფასიც ზუსტად შეურჩიოს, „ჩელსი" კი იმავე დეფოს შონ რაიტ-ფილიპსში პირდაპირ გაცვლას ფიქრობს, ოღონდ ასეთ „ბარტერზე" „სფურზი" არაა თანახმა. „მამლები" „ლურჯებს" ეუბნებიან, ჩვენი 24 წლის დეფო მაგ თქვენ 25 წლის ფილიპსზე 4 მილიონი გირვანქით ძვირი ღირსო.

რამდენადაც ჟურნალისტებისთვის გახდა ცნობილი, არც დეფო და არც ფილიპსი ამ კომბინაციის წინააღმდეგი არ არის, თუმცა კლუბები ჯერ ვერ მორიგებულან.

აღსანიშნავია, რომ „ჩელსის" შონ რაიტ-ფილიპსის თაობაზე ამ ზაფხულს სხვებმაც მიმართეს. კერძოდ, „ვესტ ჰემი" და „ასტონ ვილა" 10,5 მილიონ გირვანქას გამოდიოდნენ, მაგრამ ამ გუნდებში გადასვლა თავად ფილიპსმა იუარა.

აქამდე დეფოს გაყიდვას უარობდა „ტოტენჰემ ჰოთსპურიც". „მამლები" ჯიუტად აცხადებდნენ, რომ მათი ვარსკვლავი 15 მილიონი ღირს.

ამ ჩახლართულ კომბინაციაში, რომელიც შაბათამდე უნდა დასრულდეს, კიდევ ერთი საინტერესო მომენტი იკვეთება: საქმეში ღრმად ჩახედული ადამიანები ამბობენ, რომ თუ დეფო „სტემფორდ ბრიჯზე" ანუ „ჩელსიში" გადავა, „ლურჯებს" ანდრეი შევჩენკოს „მილანში" დასაბრუნებლად ხელ-ფეხი გაეხსნებათო.

დეფოსთან დაკავშირებით იმის თქმაც შეიძლება, რომ ამ მოთამაშეს „ტოტენჰემთან" კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს და რამდენადაც ცნობილია, კლუბს მისი გახანგრძლივება სურს, თავად მოთამაშე კი თავის მომავალს მაინც და მაინც „მამლებს" სულაც არ უკავშირებს, რაც სავსებით გასაგებია, რადგან „ტოტენჰემის" მწვრთნელი, ჰოლანდიელი მარტინ იოლი მასზე წინ დიმიტარ ბერბატოვსაც აყენებს, რობი კინსაც და დარენ ბენტსაც.

**ბაჩუნა ძედია**

# ან კარგად ათამაშდეს, ან ძალიან კარგად...

**„ვესტ ჰემმა"** დაადასტურა, რომ მილანის „ინტერს" ცნობილი ბრაზილიელი ფორვარდის, ადრიანოს შეძენაზე ელაპარაკება.

აღსანიშნავია, რომ ადრიანოს სახელთან ერთად, სულ ცოტა ხნის წინ, ლონდონის მეორე გუნდის, „არსენალის" სახელსაც ახსენებდნენ, მაგრამ „მეთოფეებმა" ეს ხმები უარყვეს. ამბობდნენ, რომ თუ „არსენალი" ადრიანოს გადაიყვანდა, ეს ერთწლიანი ქირაობის პრინციპით მოხდებოდა.

ახლა, „ჩაქუჩებიც" სწორედ ამას ცდილობენ, თუმცა 25 წლის მეგოლე ამბობს, რომ 15 მილიონ გირვანქად შეფასებული მუდმივი კონტრაქის გაფორმება ურჩევნია.

„ვესტ ჰემის" პრეს-ატაშემ განაცხადა: „ვადასტურებთ, რომ „ინტერთან" მოლაპარაკებების პროცესში ვართ, მაგრამ ეს მოლაპარაკებები ჯერ ძალიან ადრეულ სტადიაშია. კონკრეტულს ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან ჩვენ ქირაობა გვირჩევნია, იქიდან კი ყიდვაზე გველაპარაკებიან".

ის, რომ ადრიანოს „სან სიროდან" წამოსვლა უნდა, გასაკვირი სულაც არ არის. ის რობერტო მანჩინის თავდამსხმელთა სიაში ზლატან იბრაჰიმოვიჩის, ხულიო კრუზისა და ერნან კრესპოს შემდეგაა, რის გამოც მას აღარც ბრაზილიის ნაკრების თავკაცი კარლოს დუნგა იძახებს.

„მე ქირით არსად მინდა გადასვლა — ამბობს ადრიანო გულწრფელად — ერთხელ „პარმაში" გადავედი ქირით და მწარედ ვინანე, ასე რომ, ასეთი რამის გამეორება არ მინდა. ახლა, „ინტერიდან" თუ წავალ, ნამდვილად უნდა წავიდე და ამას წყალი არ გაუვა".

მაგრამ ბრაზილიელი თავდამსხმელის გულის გასახეთქად, მილანელი „შავ-ლურჯების" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ ასე განაცხადა:

„ადრიანოს ორი ვარიანტი აქვს, ჩვენთან ათამაშდეს ისე, რომ კონკურენტები ჩამოიშოროს და ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდროს ადგილი ან სადმე ქირით გადავიდეს და იქიდან მოგვაწონოს თავი, რათა მომავალ სეზონში ისევ ჩვენთან დაბრუნდეს და მერე მან რომ იცის, ისე იტრიალოს".



ადრიანო

რამდენადაც ინგლისელი ჟურნალისტებისთვის გახდა ცნობილი, ადრიანო გუშინ „მიდლსბროს" წარმომადგენლებსაც შეხვდა.

**ბაჩუნა ძედია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პელეს პელე გაუხარდა

**სან პაულუს** შტატის ქალაქ ანტონიოში პელეს მუზეუმი შენდება.

„ეს იქნება მუზეუმი უმდიდრესი არქივით და სან პაულუს ღირსშესანიშნაობებს შეემატება" — თქვა გუბერნატორმა ჟოზე სერამ. 1940 წლის 23 ოქტომბერს პელე მინას ჟერაისის შტატში დაიბადა, მაგრამ სახელი „სანტოსში" გაითქვა. ერთადერთი ფეხბურთელია, ვისაც მსოფლიოს ჩემპიონატი სამჯერ (1958, 1962, 1970) მოუგია.

„ჩემზე მეტად, ალბათ, არავის უხარია ეს ამბავი. ბრაზილია იმსახურებს ამას და ვამაყობ. ყველაფერს ვაკეთებდი სამშობლოს სასახელოდ" — თქვა გახარებულმა ლეგენდამ.

პროექტი დაახლოებით 8 მილიონი დოლარი დაჯდება, იდეა კი პელესა და სანტოსის მერ ჟოაო პაულუ ტავარეშის შეხვედრის შედეგად გაჩნდა. მუზეუმში გამოფენენ პელეს მაისურებსაც, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატებზე ემოსა, თასებს, ჯილდოებს და ფოტოებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ვიროზის ფასი

**ფიხლისმქნეველი** მწვრთნელი სილვიო ბალდინი ერთთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. „კატანიას" თავკაცმა „პარმას" მწვრთნელ დომენიკო დი კარლოს ჭიტლაყი უთავაზა და „გირობა" ასე შეუფასა სადისციპლინო კომიტეტმა. გარდა ამისა, 10 ათასი გირვანქა ჯარიმაც გამოუწერეს.

## ოთხოსანი ინძაგი

**„ლაციოს"** ფორვარდი სიმონე ინძაგი ერთი წლით „ატალანტაში" გადავიდა. ტრავმებით დატანჯულმა ბოლო ორ სეზონში მხოლოდ 17 მატჩი ითამაშა. „ლაციოში" მას სკუდეტო (2000) მოუგია. იგი იმ ხუთი ფეხბურთელიდან ერთ-ერთია, რომლებსაც ჩემპიონთა ლიგაში ერთ მატჩში ოთხი გოლი გაუტანია. მან ეს „მარსელთან" მოახერხა.

## დაუმის სიტყვა გაარჩიეს

**„კიოლნის"** თავკაც კრისტოფ დაუმს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 10 ათასი ევრო ჯარიმა გამოუწერეს მსაჯების ლანძღვისთვის. „ალემანიასთან" 0:1 მარცხის შემდეგ, დაუმმა მსაჯები მიკერძოებაში დაადანაშაულა და სადიციპლინო კომიტეტმა შეურაცხყოფა არ აპატია.

## ბერბატოვს ექვსი დაუმატეს

**„სანის"** ცნობით, ტოტენჰემელ დიმიტარ ბერბატოვს ხელფასი მოუმატეს. ფეხბურთელი, რომელმაც წინა სეზონში 23 გოლი გაიტანა, 24-ის ნაცვლად, კვირაში 30 ათას გირვანქას მიიღებს. შედარებისთვის, „მანჩესტერის" მოთამაშეები სამ-ოთხჯერ მეტს იჯიბავენ. სწორედ „მანჩესტერს" უნდა ბერბატოვის ყიდვა და 40 მილიონის გადამხდელიცაა.

## პელე პაკოში

**„ინტერმა"** „გიმარაეშიდან" 14 წლის ნახევარმცველი ვიტორ უგო გომეშ პაკოში იყიდა და ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გარიგების ფასი უცნობია. პაკოშმა, მეტსახელად „პელე", მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატზე კანადაში კარგად ითამაშა და „ინტერის" სკაუტებს თავი მოაწონა. „პელეს" 30-ნომრიანი მაისურა ერგო.

## რადიომ რიკელმე გაყიდა

**„ვილიარეალის"** არგენტინელი ნახევარმცველი ხუან რომან რიკელმე მადრიდის „ატლეტიკოში" გადადის და ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ეს ამბავი ესპანურმა რადიომ „კადენა სერმა" გაამხილა. 29 წლის რიკელმე „ვილიარეალმა" ექვსი თვის წინ „ბოკა ხუნიორსში" გაანათხოვრა და ახლაღა დაიბრუნა.

## მემარჯვენე ტორინოში

**„უდინეზესა"** და იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მარჯვენა მცველი მარკო მოტა ერთი წლით „ტორინოში" გადავიდა. 2004-2005-ის სეზონში იგი „ატალანტაში" იყო და 19 მატჩი ითამაშა, „უდინეზეში" კი მუხლის ტრავმის გამო მხოლოდ 22 შეხვედრა ჩაატარა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მთელი ქალაქი ჭირისუფალია



## ეძღვნება ანტონიო პუერტას: უეფამ თამაში არ გადადო



**ესპანური ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი ნახევარმცველი, „სევილიას“ 22 წლის ფეხბურთელი ანტონიო პუერტა შაბათს, პრიმერადივიზიონის პირველი ტურის შეხვედრაში ცუდად გახდა, მოედანზე გონება დაკარგა, სამი დღის შემდეგ კი „ვირხენ დელ როკიოს“ საავადმყოფოში გარდაიცვალა**

„ჩვენ იძულებულნი ვართ მწუხარებით განვაცხადოთ, რომ სამშაბათს, 14 საათსა და 30 წუთზე ანტონიო პუერტა გარდაიცვალა“ — ეწერა საავადმყოფოს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში, სადაც დაზუსტებით გახლდათ აღწერილი ის დაავადება, რომელმაც საბოლოოდ გააჩერა ახალგაზრდა კაცის გული.

„დღეს ჩვენი კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სევდიანი დღეა — განაცხადა „სევილიას“ დაზაფრულმა პრეზიდენტმა ხოსე მარია დელ ნიდომ — ჩვენს ფეხბურთს გამოაკლდა ის ჯადოსნური ცაცია, რომელმაც ჩვენი ცხოვრება შეცვალა“.

ესპანური პრესის ცნობით, ანტონიო პუერტა დაახლოებით თვენახევარში პირველი შვილის მამა უნდა გამხდარიყო.

ბუნებრივია, ფეხბურთელის გარდაცვალებამ „სევილიას“ გრაფიკი შეცვალა. ჩემპიონთა ლიგის მატჩი, რომელიც სამშაბათს საბერძნეთში აეკ-ის წინააღმდეგ უნდა გამართულიყო, უეფამ შემდეგი ორშაბათისთვის გადადო, თუმცა ხვალინდელი შეხვედრა ევროპის სუპერთასზე, სადაც უეფას თასის მფლობელმა „სევილიამ“ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ „მილანთან“ უნდა ითამაშოს, ჩვეულებრივ ჩატარდება და ის დაღუპული ანტონიო პუერტას ხსოვნას მიეძღვნება.

ეს მატჩი, მოგეხსენებათ, სუპერთასის ტრადიციისამებრ, მონაკოშია დაგეგმილი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „მილანი“ თავის მხრივ თანახმა იყო, ის გადაეტანათ სევილიელთათვის მოხერხებულ ნებისმიერ დროს, თუმც უეფამ მაინც ჩატარება ამჯობინა.

„რასაკვირველია, თუ „სევილიას“ ფეხბურთელები განაცხადებენ, რომ თამაში კატეგორიულად არ სურთ, შეხვედრა არ გაიმართება, მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ისინი შეხვედრის გამართვასა და მის ყოფილი თანაგუნდელისადმი მიძღვნაზე დაგვთანხმდებიან — განაცხადა უეფას პრეზიდენტის, მიშელ პლატინის მთავარმა მრჩეველმა უილიამ გაილარდმა.

შეგახსენებთ, რომ ესპანეთის ჩემპიონატის პირველ ტურში „სევილია“ „ხეტაფეს“ ხვდებოდა და მიმდინარეობდა მატჩის 35-ე წუთი, როდესაც ანტონიო პუერტა მინდორზე უგონოდ დაეცა. ის გონს მალევე მოეგო და მოედნიდან თავისი ფეხით გავიდა, თუმცა, როგორც „სევილიას“ ექიმებმა თქვეს, გასახდელში ისევ დაკარგა გონება, რის გამოც ჯერ ადგილზე ჩაუტარეს სასწრაფო დახმარება, შემდეგ კი ზემოხსენებულ საავადმყოფოში გააქანეს.

ამასთან დაკავშირებით, სააგენტო „როიტერის“ ჟურნალისტები ბოლო წლებში მოედანზე დაღუპულ მოთამაშეებს იგონებენ და მათ სიას გვაწვდიან:

ერთ-ერთი ყველაზე შოკისმომგვრელი კამერუნელი მარკ-ვივიენ ფოეს სიკვდილი გახლდათ. ეს ამბავი ფიფას კონფედერაციათა თასის 2003 წლის შეხვედრაში მოხდა, რასაც, შემდეგ ლისაბონის „ბენფიკას“ უნგრელი მოთამაშის, მიკლოშ ფეჰერის გარდაცვალება მოჰყვა. ეს 2004-ის იანვარში იყო.

ბრაზილიაში, „სან კაეტანოს“ მცველი სერჟინიუც 2004-ში, ოღონდ ოქტომბერში გარდაიცვალა, პორტუგალიელ უგო კუნიას კი 2005 წელს უწია სიკვდილმა — კუნია „უნიაუ ლეირიაში“ თამაშობდა.

პუერტა „სევილიას“ საყმაწვილო სკოლის აღზრდილი გახლდათ. დიდ გუნდში 2004-05 წლების სეზონში აიყვანეს და მარცხენა მცველად ან ნახევარმცველად ათამაშებდნენ.

„სევილიას“ ქომაგებს განსაკუთრებით დაამახსოვრდებათ მისი გოლი „შალკეს“ კარში. 2004 წლის აპრილში გატანილი ამ გოლით ესპანური გუნდი უეფას თასის ფინალში გავიდა. მანამდე „სევილიას“ უეფას თასის ფინალში არ ეთამაშა.

ანტონიო პუერტას ესპანეთის ნაკრებში ერთი თამაში ჰქონდა ჩატარებული.

საავადმყოფოდან გარდაცვლილი ფეხბურთელი სევილიის „სანჩეს პისხუანის“ სტადიონზე გადაასვენეს. მის პატივსაცემად სტადიონისკენ ათასობით ქალაქელი დაიძრა. კუბო ასწლოვანი კლუბის ბანერითა და ესპანეთის დროშით გახლდათ მორთული. ფეხბურთელის ხსოვნის პატივსაცემად ქუჩებში მრავლად გამოვიდნენ „სევილიას“ მოწინააღმდეგე გუნდის, იმავე ქალაქის „ბეტისის“ გულშემატკივრებიც. დაახლოებით საღამოს 5 საათისთვის, კუბომ, რომელსაც სტადიონამდე პრეზიდენტი დელ ნიდო აცილებდა ქუჩებში გამოსულ და დადუმებულ ათასობით ადამიანს ჩაუარა.

ანტონიო პუერტა სევილიის სან ფერნანდოს სახელობის სასაფლაოზე გუშინ, ცენტრალური ევროპის დროით 14 საათზე დაკრძალეს.

ანტონიო პუერტას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, მადრიდის „რეალმა“ გადადო ამხანაგური შეხვედრა ლისაბონის „სპორტინგთან“, ხოლო „ბარსელონამ“ პირობა დადო, რომ „ინტერთან“ გუშინდელი თამაშით მიღებული შემოსავლის 10 პროცენტს გულის „ამ კონკრეტული“ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლას მოახმარს.

აღსანიშნავია, რომ ანტონიო პუერტას სიკვდილი „სევილიას“ ფეხბურთელის მოედანზე გარდაცვალების პირველი შემთხვევა არ გახლავთ — 1973 წელს გარდაიცვალა 27 წლის თავდამსხმელი პედრო ბერუესო. მაშინ „სევილია“ სეგუნდადივიზიონში გამოდიოდა, ბერუესოს მეუღლე კი პუერტას ცოლის მსგავსად, ფეხმძიმედ გახლდათ და ქმრის სიკვდილის შემდეგ გააჩინა ვაჟი პედრო, რომელიც დღეს მესამე დივიზიონის „კეუტაში“ გამოდის.

**ბაბუნა ბედია**







AFP სურათები

# რატომ?



## ჰკითხეთ საკუთარ თავს

**კირონ დაიერს** ფეხი მოტეხეს, რის გამოც ალან კერბიშლიმ „ბრისტოლ როვერსის“ მცველზე, ჯო ჯეკობსონზე სულ ცუდები ილაპარაკა.

ინგლისის ლიგის თასის ამ შეხვედრაში „ვესტ ჰემის“ ორივე გოლი კრეიგ ბელამიმ გაიტანა, თუმცა ლონდონელებს გამარჯვება ჩამწარდათ.

თამაშის მეორე დღეს, „ვესტ ჰემმა“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ბრისტოლის გუნდმა დაიერს ფეხი ორ ადგილზე მოტეხა.

კერბიშლიმ განაცხადა: „ამ ამბის გამო ძალიან გვეტკინა გული. მას მერე, რაც დაიერს ფეხი მოტეხეს, თამაშმა და მისმა შედეგმა ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა. ვფიქრობ, „როვერსის“ ის ფეხბურთელი ძალიან უკმაყოფილო უნდა იყოს იმით, რაც ჩაიდინა. მან, მას მერე, რაც ბურთი დაკარგა, რატომღაც კირონზე თავდასხმა განიზრახა და ასეთი შედეგი მივიღეთ. მისი ეს საქციელი სხვა ფეხბურთელებმაც დაინახეს“.

ამრიგად, დაიერისა და „ჩაქუჩთა“ გუნდის მდგომარეობა მართლაც ფრიად მძიმე გამოდის. ექიმების ვარაუდით, დაიერი ექვს თვეს გამოტოვებს, რადგან გამოჯანმრთელებისა და ძალთა აღდგენისთვის სწორედ ეს დრო დასჭირდება. არადა, ეს ფეხბურთელი „ვესტ ჰემში“ „ნიუკასლ იუნაიტედიდან“ სულ რაღაც 12 დღის წინ გადავიდა 7 მილიონი გირვანქის საფასურად.

კერბიშლიმ განაგრძო: „თამაშის წინ მათმა მწვრთნელმა მკითხა, უძლიერესი შემადგენლობით უნდა გვეთამაშო თუ არაო. მე ვუპასუხე, რომ უძლიერესი შემადგენლობით ვაპირებდი თამაშს, მაგრამ ახლა საკუთარ თავს ვეკითხები: რატომ?

ასე და ამგვარად, ძალიან იმედგაცრუებული დავრჩი. კირონი საუცხოო ფორმაში შედიოდა. ის შეტევას სიმწვავეს მატებდა“.

საგულისხმოა, რომ მცველი ჯეკობსონი მსაჯმა მაიკ ჯონსმა არც კი გააფრთხილა.

„როვერსის“ მწვრთნელი პოლ ტროლოპი:

„ჯარიმა იყო — ჯომ მარცხენა ფეხი გაჭიმა, რათა გაქცეული ბურთი დაებრუნებინა, მაგრამ საუბედუროდ დაიერი დაშავდა. რაც შეეხება ჭორებს, თითქოს ეს არნახული შეჯახება იყო, ასეთი ჭორები სულ „ვესტ ჰემის“ დაყრილია. აქ, ზღვარსგადაცდენილი არაფერი მომხდარა, უბრალოდ, უიღბლო ინციდენტი იყო“.

**ბაჩუნა ძიდია**



გაბრიელ ჰაინცე

# ამბავი სიძულვილისა და პირადი შეურაცხყოფისა

**გაბრიელ ჰაინცემ** „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს მადრიდიდან შეუტია — მაწანწალასავით მომექცაო.

და ჰაინცემ ფერგიუსონს მისი ოცნების დამსხვრევაში დასდო ბრალი. რომელ ოცნებაზეა ლაპარაკი? „ლივერპულში“ გადასვლაზე, რაც მანჩესტერელთა სქოთმა მწვრთნელმა ყველა შესაძლო ხერხის გამოყენებით ჩაშალა, რადგან, არგენტინელის თქმით, „იუნაიტედი“ და „ლივერპული“ ერთმანეთს ვერ იტანენ.

„მე იმ კლუბისთვის ოფლი ვღვარე და ამის შემდეგ გაცილებით უკეთეს მოპყრობას ვიმსახურებდი — განაცხადა აწ უკვე „რეალის“ ფეხბურთელმა — ბოლოს უკვე აშკარა იყო, რომ მანჩესტერიდან უნდა წამოვსულიყავი, რადგან შურისმაძიებელი ფერგიუსონი მთელი სეზონის განმავლობაში ერთი წამით არ შემიშვებდა მოედანზე.

ახლა, არ დაგიმალავთ და ძალიან მინდა, „რეალი“ ჩემპიონთა ლიგაში კენჭისყრამ სწორედ „მანჩესტერ იუნაიტედს“ შეახვედროს. რაც შეეხება „იუნაიტედის“ ფანებს, მათ მადლობას ვუხდი, რადგან ისინი მათი კლუბის დირექტორებისგან ძალიან განსხვავებულნი არიან“.

და როგორ ფიქრობთ, რატომ გადაეკიდა გაბრიელ ჰაინცეს ალექს ფერგიუსონი? არგენტინელის თქმით იმიტომ, რომ მან 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მიიღო მონაწილეობა.

„2005 წლის სექტემბერში საშინლად ვიტკინე მუხლი. მანამდე ჩემი ურთიერთობა ფერგიუსონთან სრულიად ნორმალური იყო, მერე კი ყველაფერი აირია, განსაკუთრებით მას მერე, რაც ჩემი ქვეყნის ნაკრების სახელით მსოფლიოს ჩემპიონატზე მივიღე მონაწილეობა.

მუხლის მოსაშუშებლად ესპანეთს გავემგზავრე. მაშინ ფერგიუსონი დარწმუნებული იყო, რომ ასეთი მძიმე ტრავმის შემდგომ ზაფხულზე მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მივიღებდი. როგორც ხედავთ, პირიქით მოხდა, რამაც ის ძალიან გააბრაზა და ჩემი საქმეებიც მას მერე წავიდა უკუღმა“.

ხოლო რა მოხდა ამ ზაფხულს, „სარბიელის“ მკითხველმა კარგად იცის და გამეორებას არ შევუდგებით.

„შუღლი, რომელიც „ლივერპულსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ შორის არსებობს, საორტული პაექრობის საზღვრებს ძალიან სცილდება — გვიხსნის გაბრიელ ჰაინცე, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ რაფა ბენიტესი 6,8 მილიონი გირვანქის საფასურად მას „მანჩესტერიდან“ გამოისყიდიდა — ფერგიუსონისთვის ამან პირადი შეურაცხყოფის ფორმა მიიღო და ყველა ღონე იხმარა, რათა მე „ლივერპულში“ არ გადავსულიყავი. სამაგიეროდ, ევროპის სხვა დიდ გუნდში ამოვყავი თავი. „რეალის“ ვინაობა და რაობა ყველამ კარგად იცის და ამ გუნდში თამაშზე ყველა ფეხბურთელი ოცნებობს“.

**ბაჩუნა ძიდია**



ალექს ფერგიუსონი

# აგენტი ემირატებზე

## ასისი მოტივაციაზე ლაპარაკობს და ახალს არაფერს გვეუბნება



რონალდინიო მომავალს ნათლად ვერ ხედავს

AFP

**ინგლისურ** პრესაში დაირხა ხმები, თითქოს რონალდინიოს აგენტს დაედასტურებინოს, რომ მისი კლიენტი „ჩელსიში“ გადადის.

აგენტი, რომელიც ვახსენეთ, რობერტო დე ასისი გახლავთ, საერთაშორისო ფეხბურთისა და რონალდინიოს ფანებს კი კარგად მოეხსენებათ, რომ ეს რობერტო დე ასისი აგენტის გარდა, ფეხბურთელის ძმაც გახლავთ. ჰოდა, როგორც ირკვევა, ამ აგენტ-ძმას უთქვამს, რომ „ჩელსის“ წინადადება კარგად არის მოტივირებული და, რომ ეს მან თავად შეიტყო ლონდონში, სადაც გასული შაბათ-კვირა გაუტარებია.

თუ რობერტო ასისი ამ უქმეებზე „ჩელსის“ მეპატრონეს, რუს მილიარდელს რომან აბრამოვიჩს შეხვდა, მაშინ რა მოტივაციაზეც არის საუბარი, ძალიან იოლი გასაგებია. სინამდვილეში, ეს დიპლომატიური სიტყვები და გამოთქმები მხოლოდ ერთს, გვარიან გასამრჯელოს ნიშნავს და მეტს არაფერს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რონალდინიოს აგენტმა აბრამოვიჩთან შეხვედრაზე არაფერი თქვა — ლონდონში „არსენალის“„ემირატ სტედიუმის“ სანახავად ვიყავიო.

ასისი: „ამის შესახებ ყველამ იცის და ისიც იოლი მისახვედრია, რომ როდესაც „ჩელსი“ იჩენს შენით დაინტერსებას, ეს საინტერესო და სასიამოვნოა, თუმცა ამაზე მეტს არაფერს გეტყვით. ინგლისში „არსენალისა“ და „მანჩესტერ სიტის“ თამაშს დავესწარი. ძალიან მაინტერესებდა „არსენალის“ ახალი სტადიონი. რაც შეეხება რონალდინიოს, ის 2010 წლამდე „ბარსელონასთან“ არის კონრტაქტით შეკრული და ამწუთას მხოლოდ კატალონიურ კლუბზე ფიქრობს. ჩინებული სეზონისწინა მომზადების შემდეგ ის კარგ ფორმაშია და მხოლოდ „ბარსელონაზე“ ფიქრობს“.

**ბაჩუნა ძიდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეჯინიბე ვერტმფრენიდან



**მაიკლ ოუენმა** კარგად იცის, რომ საფეხბურთო მსოფლიო ველარასოდეს ნახავს იმ სისწრაფესა და დრიბლინგს, რომელმაც ის, თავის დროზე, ათეულობით ათასების საყვარელ ფეხბურთელად აქცია.

მაშ, რა მოხდება მომავალში?

27 წლის ვარსკვლავი ფეხბურთიდან წასვლასა და საჯინიბოს გახსნას ვარაუდობს. მას და მის მეგობარს, ნიკი ვუგანს ჩეშირში 160 აკრი მიწა საამისოდ, უკვე შეუძენიათ.

თუმცა, „ნიუკასლ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი ამბობს:

„საჯინიბოსა და ცხენების მოვლისთვის ამწუთას ბოლომდე მზად მაინც არ ვარ“.

მაგრამ ტრავმებმა, რომლებიც ოუენს ბოლო ორი წლის განმავლობაში დაუნდობლად უტევდნენ, ვარსკვლავს აფიქრებინა, რომ ძველებურ ფეხბურთს ის მართლაც ველარასოდეს ითამაშებს. ამ ტრავმათა შორის იყო ის საშინელი მუხლის ტრავმაც, რომელმაც მაიკლს კინაღამ მაშინვე დაანებებინა ბურთის გორებისთვის თავი.

ოუენი ფილოსოფოსობს:

„ადამიანი ბერდება, სისწრაფეს კარგავს, მისი ფეხბურთი სულ უფრო მეტად ნაცრისფერი ხდება. 30 წელს მიახლოებული და გადაცილებული ხვდები, რომ სუპერმენი სულაც აღარ ხარ.

ერთი სიტყვით, ჩვენ, ფეხბურთელები ჩვეულებრივი მოკვდავები ვართ. ასეთი რამ მოუვიდა ალან შირერს და მეც ზუსტად იგივე შემემთხვა.

თუმცა, მე ჯერ მაინც 27 წლის ვარ და თავს ღონივრად ვგრძნობ, რაც იმის იმედს მაძლევს, რომ საკუთარი სტილის გადასხვაფერებას შევძლებ. სანამ სისწრაფე მქონდა, მოედანზე დავქროდი, ასეულობით მეტოქეს ვცდებოდი და ფლანგებიდან მაღალ ბურთებს ვაწოდებდი. მერედა, გოლიც იმდენი გამქონდა, რამდენსაც საგოლე მომენტს ვქმნიდი, რასაც ახლა ველარ გავაკეთებ. ტრავმების გამო, როგორც გითხარით, სისწრაფე დავკარგე და ამიტომ რაღაც ახლის მოფიქრება მმართებს.

17-18 წლისა ძნელი დასაწევი ვიყავი, რადგან მწევარი ძაღლივით დავრბოდი, ახლა კი ჩემთვის იმავე სისწრაფით სირბილი უბრალოდ, გამორიცხულია. ახლა, უფრო ხშირად მეტოქის საჯარიმოში შევდივარ და ბურთი იქ გარედან კი აღარ მიმაქვს, მას იქ ველოდები. თან, ასაკი და გამოცდილება მკარნახობს, სად შეიძლება ის ჩამოვარდეს“.

როგორც ჟურნალისტები ამბობენ, მაიკლ ოუენის საფეხბურთო კარიერის ბოლო სადგური, სავარაუდოდ, სწორედ „ნიუკასლია“, თუმცა, მისი თანაგუნდელები თურმე სხვას ფიქრობენ. ისინი ხედავენ, რომ ოუენი ვერტმფრენით ძალიან ხშირად დაფრინავს ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისში და ვარაუდობენ, რომ ის ისევ „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ლივერპულში“ მოხვედრაზე ოცნებობს.

მაგრამ ოუენი ამ ჭორებს ყურს არ უგდებს. არცთუ დიდი ხნის წინ, მან ნიუკასლის რეგიონში მამულიც კი იყიდა. მასთან ერთად მიწა შეიძინა მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა სკოტ პარკერმაც.

ოუენი განაგრძობს: „ორი წელიწადია, რაც „ნიუკასლში“ ვთამაშობ და წელიწადი ისე არ გაილევა, ვილაცამ ჭორი რომ არ დაყაროს, მაიკლ ოუენი მიდისო. ამას უკვე მივეჩვიე. მე აქ ვთამაშობ, ოჯახი კი იქ მყავს, ჩემი ბავშვები სკოლაში უკვე რამდენიმე წელიწადია, იქ დადიან, ასე რომ, ძირითადად ნიუკასლში ვარ, თავისუფალ დღეებში კი მშობლებთან და ოჯახთან მივეშურები, რაც გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს“.

**ბაჩუნა ბედია**

# დელ პიერო მოაწერს




**„იუვენტუსის“** კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ყაბულსაა. ამ ზაფხულს კლუბი ახალ ხელშეკრულებაზე დავიდ ტრეზეგეს, პაველ ნედვედს და მაურო კამორანეზის მალე მოურიგდა, მაგრამ დელ პიეროსთან მოლაპარაკება გაუჭინაურდა. 32 წლის ნახევარმცველმა ივლისში შეთავაზებული კონტრაქტის პირობები დაიწუნა და თქვა, რომ ეს მისი უპატივცემულობაა. ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა გასულ შაბათს, „ლივორნოსთან“ მატჩის შემდეგ, რადგან კლაუდიო რანიერიმ მე-60 წუთზე დელ პიერო ვინჩენცო იაკინტათი შეცვალა, რომელმაც დუბლი შეასრულა. „იუვეს“ კაპიტანი გუშინ „პარმასთან“ სათასო მატჩის განაცხადშიც არ შეიყვანეს.

„მე პატივს ვცემ იერარქიას კლუბში, მაგრამ ვალდებული ვარ, ნებისმიერ ფეხბურთელზე ვიფიქრო“ — უპასუხა რანიერიმ ჟურნალისტებს, როცა მას დელ პიეროსთან ურთიერთობაზე ჰკითხეს.

ამ ამბების მიუხედავად, ფეხბურთელის ძმამ და აგენტმა სტეფანომ განაცხადა, რომ მომავალ კვირაში შეხვდება კლუბის გენერალურ მენეჯერ ჟან-კლოდ ბლანს და ახალი კონტრაქტიც გაფორმდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩემპიონთა საღამო

## პოპესკუმ ნაკრებში კრუიფი გამოიძახა




**რუმინეთი** — ჰოლანდიის ამხანაგურ მატჩში სათამაშოდ დაპატიჟებულები არიან ფრანკ რაიკარდი, რუუდ გულიტი და იოჰან კრუიფი. შეხვედრის ორგანიზატორია, 1994 წლის რუმინეთის ნაკრების წევრი გეორგ პოპესკუ. მას სურს, რომ 13 წლის წინანდელი შემადგენლობა შეაჯიბროს ჰოლანდიელ ვარსკვლავებს. 1994-ში, მსოფლიოს ჩემპიონატზე რუმინეთი მეოთხედფინალში გავიდა. ამხანაგური მატჩი ქალაქ კლუჟში გაიმართება და პირობითად მას „ჩემპიონების საღამო“ დაარქვეს.

პოპესკუს ეეჭვება, რომ იოჰან კრუიფი ითამაშებს, მაგრამ ხარჯებს არ მოერიდება საამისოდ, რათა მარკო ვან ბასტენი ჩაიყვანოს კლუჟში და ათამაშოს.

რუმინეთი და ჰოლანდია ერთად არიან ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფში. მატჩი 13 ოქტომბერს შედგება. ამხანაგურ შეხვედრას კი კლუჟი ორი დღით ადრე უმასპინძლებს.

„ჩემპიონთა საღამო“ ორი წლის წინაც გაიმართა და რუმინეთმა მსოფლიოს 1994 წლის ტრიუმფატორ ბრაზილიას მოუგო. პოპესკუს შარშან არგენტინის ჩაყვანა სურდა, მაგრამ ვერ მოახერხა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მანჩინის რომა სამპდორია ჰგონია



**„ინტერის“** მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ „რომა“ შეაქო და 1990-91 წლების „სამპდორიას“ შეადარა, რომელმაც სკუდეტო მოიგო. „ინტერი“ წინა სეზონში ჩემპიონი გახდა, მაგრამ იტალიელი ფეხბურთელების აზრით, „რომა“ ბევრად უფრო კოხტად თამაშობდა.

ლუჩანო სპალეტის გუნდს იტალიაში ქომაგები მოუმრავლდნენ. ამასწინათ კაკამაც თქვა, რომ „რომა“ ბრაზილიურ ფეხბურთს აჩვენებს. ახლა რობერტო მანჩინიმაც არ დაიშურა საქებარი სიტყვები:

მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხე-მეხუთე დღე არაერთი კარგად გარეკლამებული ვარსკვლავისთვის გამოდგა იმედგამაცრუებელი. სამშაბათს ორმა ძველმა ჩემპიონმა შეირცხვინა თავი — ლიტველმა ბადროს მტყორცნელმა ვირგილიუს ალეკნამ მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიჭირა და სამშობლოს ერთადერთი საოქროვე იმედი გაუცრუა. მრავალგზის ჩემპიონმა, მოზამბიკელმა მარია მუტოლამ კი საერთოდ ვერ შეძლო 800-მეტრიანი დისტანციის ფინიშამდე გაღწევა. ოთხშაბათს განსაკუთრებით გაწბილდნენ შვედები. ორივე მათი ვარსკვლავი — შტეფან ჰოლმიც და სუზანა კალურიც მეოთხენი იყვნენ. ქალთა 400-მეტრიან გარბენში კი ამერიკამ რაც დათესა, ის მოიმკო. ამ ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაციის პოლიტიკამ ერთი უეჭველი ოქრო დაკარგა და საერთოდ მედალიც კი არ შეხვდა

### 28 აგვისტო. IV დღე

**ქალთა ჭოკით ხტომა** — ამ გემრიელ სახეობაში რუსმა ელენა ისინბაევამ ორი-სამი წელია, ყველაფერი ფორმალობად აქცია. იმდენად დიდი და თვალსაჩინოა მისი უპირატესობა, რომ ლენა ოდნავადაც არ იოფლება, ისე იგებს ოქროებს. წლეულს გვარიანად გაზარმაცდა და მაშინღა გაიხარა, როცა ამერიკელმა ჯენიფერ სტუჩინსკიმ ერთ-ერთ ტურნირზე 4,88-მეტრიანი თამასა დაძლია და ყველა დროის მეორე მხტომელად იქცა. ისინბაევამ თქვა, ეგ ამერიკელი გოგო მოტივაციას მმატებსო. მაგრამ ოსაკაში სტუჩინსკი ისე ჩაფლავდა, რომ ფინალშიც კი ვერ გავიდა და ასე ვთქვათ, ლენას აღგზნებაც ჩაცხრა. მან მეორე ცდით აიღო 4,80 მეტრი, რაც მისთვის უფრო იოლი საქმეა, ვიდრე ყავის მოდუღება, მერე კი ერთბაშად 5,02 მეტრამდე ააწევინა თამასა და თავისივე 5,01-მეტრიან მსოფლიო რეკორდს შეუტია, მაგრამ რას დაძლევდა ამხელა სიმაღლეს, როცა წლეულს მცონარობისგან 4,93 მეტრზე მეტისთვის არ გადაუცილებია ტანი.

**კაცთა ბადროს ტყორცნა** — ზედიზედ 37 გამარჯვება, 17 ტყორცნა 70 მეტრს იქით, ოლიმპიური და მსოფლიო ტიტულები! ძალიან შთამბეჭდავია ლიტველი ბადროს მტყორცნელი ვირგილიუს ალეკნას სტატისტიკა. და უცებ: ოსაკაში მისი საუკეთესო ნატყორცნი მხოლოდ 65,24 მეტრზე დაეცა. დაუმარცხებელი მძლეოსანი ისე დამარცხდა, რომ მედალიც კი ვერ შეხვდა. ალეკნა ყოჩაღი ესტონელი გერდ კანტერის გარდა გერმანელმა და ჰოლანდიელმა ბადროს მტყორცნელებიც ჩამოიტოვეს. ლიტვური დელეგაცია კი დიდი შანსია, რომ სულ უმედლოდ დარჩეს.

**ქალთა სიგრძეზე ხტომა** — ამ სახეობას რუსი ლიდერი ჰყავს, მსოფლიოს ჩემპიონი ტატიანა ლებედევა, რომელიც რიგიან სეზონს ატარებს. ის ოსაკაშიც მთავარი ფავორიტი გახლდათ და მოიგო კიდეც, მაგრამ პოდიუმს მთლიანად მისი თანამემამულეები თუ შეავსებდნენ, ამას ცოტა თუ იფიქრებდა. ლებედევას კონკურენციას ძირითადად პორტუგალიელი ნაიდე გომეში უწევდა, რომელიც 6,87-მეტრიანი ნახტომით პირველი ვერა, მაგრამ მყარი მეორე კი გახლდათ, მაგრამ სულ ბოლო ცდაზე რუსებმა — ლუდმილა კოლჩანოვამ და ტატიანა კოტოვამ ისკუპეს შესაბამისად 6,92 და 6,90 მეტრზე და კვარცხლბეკზე არც პორტუგალიელისთვის დარჩა ადგილი და არც სხვისთვის.

**კაცთა სტიპლჩეიზი** — 28 აგვისტოს კიდევ ერთი მედლების კომპლექტი დახვეტეს ერთი ქვეყნის წარმომადგენლებმა. კაცთა სტიპლჩეიზში კაფანდარა და აფრიკული ლამესავით კუნაპეტ კენიელებს იშვიათად ჯობნის ვინმე, მაგრამ მათ 1997 წლის შემდეგ ვერ მოეხერხებინათ ის, რაც ოსაკაში შეძლეს — ბოლო ათ წელიწადში პირველად დატოვეს დანარჩენი მსოფლიო უმედლოდ ამ უძნელეს სახეობაში. თავად კენიელთა შორის ფავორიტად ეზეკელ კემბოი ითვლებოდა, ვისაც წლეულს ყველაზე სწრაფად დაეძლია ბარიერებით და წყლიანი ორმოთი დამძიმებული 3 კილომეტრი (დაახლოებით 3 წუთსა და 6 წამში), თუმცა შედეგით მის სიახლოვეს ბრიმინ კიპროფ კიპრუტო ტრიალებდა და ოქრო-ვერცხლიც მათ გაითამაშეს.

**ქალთა 800 მეტრი** — მოზამბიკელი ძუ ავაზა მარია მუტოლა რომ დაბერდა, ამას სახეზე ვერა და შედეგებზე კი ნამდვილად შეატყობთ. ახლაც, ის შესაძლოა ზრდილობის გულისთვის იბრძოდა ოქროსთვის, უფრო კი პრესტიჟისთვის, მაგრამ ვერ აჰყვა კენიელი ჯენეტ ჯეფკოსგეის გიჟურ ტემპს და საერთოდ ვერ შეძლო ფინიშამდე მისვლა — ბოლო მოსახვევიდან გამოსვლისას ილაჯი გაუწყდა და იქვე ბილიკის პირას მინდორზე მიწოლილ ფოტორეპორტიორს ზედ თავზე წამოექცა.

ჯეფკოსგეიმ კი კენიურ ყულაბაში მესამე ოქრო ჩააწკრიალა.

**კაცთა 400 მ თარჯრბენი** — ორი წლის წინ ყველაზე მაგარი, დომინიკელი ფელიქს სანჩესი კარგა ხანია, დიდების მწვერვალიდან მიწაზე დაბრუნდა, ამერიკელი ჯეიმს კარტერი ფორმაში ვერაა, ასე რომ, კიდევ ერთმა ამერიკელმა, მსოფლიო რეიტინგის პი-

# O·SA'KA" 2007 მსოფლიოს ჩემპიონატი

## ოსაკა, იაპონია. 25 აგვისტო — 2 სექტემბერი

რველმა ნომერმა კერონ კლემენტმა ყოველგვარი შინაგანი დაძაბვის გარეშე შეუტია. მსოფლიო ტიტულს და მასთან მსოფლიო რეკორდსაც. ტიტული კი მოიგო, მაგრამ აი, კევინ იანგის რეკორდამდე 0,67 წამი დააკლდა.

### 29 აგვისტო. V დღე

გუშინ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა დაიწყო და დაასრულა საქართველოს ერთადერთმა წარმომადგენელმა დავით ილარიანმა. ქართველ 110 მეტრზე თარჯმორბენალს ურიგოდ არ ურბენია, დისტანცია 13,82 წამში დაფარა, მაგრამ თავის გარბენში 8 კაცში მხოლოდ მეშვიდე გახლდათ და წინასწარი ეტაპი ვერ დაძლია.

სულ ხუთი გარბენი მოეწყო, საიდანაც 40 მონაწილიდან შემდეგ ეტაპზე 24 გავიდა. მათი შედეგები 13,22 წამიდან 13,66 წამამდე მერყეობს. დავით ილარიანმა კი 13,82 შედეგით 40 მორბენლიდან რვას აჯობა.

**კაცთა სიმაღლეზე ხტომა** — აქ ძალიან საინტერესო შეჯიბრი შედგა და გვარიანი სენსაციაც გამოცხვა. შველ კალიასავით მოხტუნავე შტეფან ჰოლმს ოქრო თითებიდან გამოაცალეს. ჰოლმი წლეულს თითქოს ფორმაში არაა, მაგრამ ოსაკაში თავიდან ყველაფერი გადასარევად მისდიოდა. მან უიოლესად, ადვილად შესამჩნევი რეზერვებით აიღო წინასწარი სიმაღლეები და საკმაოდ სოლიდურ 2,33 მეტრსაც გართულების გარეშე გადაევლო. ერთი ცდაც კი არ ჰქონდა ჩაგდებული, მაგრამ აი, 2,35 მეტრს კი ვერაფერი მოუხერხა, სამივე ჯერზე ტანი გადაატარა, მაგრამ თამასა წვივებით ჩამოაგდო და საერთოდ უმედლოდ დარჩა.

2,35 მეტრი კი სამმა მხტომელმა დაძლია — კარგად ცნობილმა რუსმა იაროსლავ რიბაკოვმა, ნაკლებცნობილმა კვიპროსელმა კირიაკოს იოანუმ და სრულიად უცნობმა ბაჰამელმა დონალდ ტომასმა. ეს უკანასკნელი ერთი წლის წინ საერთოდ არ გახლდათ მძლეოსანი, ამერიკაში ცხოვრობდა და იქ — ბოდიში გამოთქმაზე და — ქუჩის კალათბურთს უბერავდა. მავან მძლეოსანთან ნიძლავი დაუდია, შენზე მაღლა ავხტებიო, ამხტარა და ასე უპოვნია გზა სპორტის ამ სახეობისკენ.

ოსაკაში გამოსვლის წინ დონალდ-ბიჭი ტელესტუდიაში დაჯდა და კამერის წინ „სიფათები კერა", მაგ არიფებს თავი პროფესიონალები რომ ჰგონიათ, აგერ ნახავთ, რას ვუზამო. უქნა კიდეც — მართალია, მან რიბაკოვმა და იოანუმ 2,35 მეტრის შემდეგ 2,37 ველარ დაძლიეს, მაგრამ წინა სიმაღლეზე დახარჯული ცდების დათვლით ჩემპიონი სწორედ ტომასი შეიქნა.




მიშელ პერიმ ამერიკელებს გეგმიური ოქრო მოუტანა

**ქალთა ბადროს ტყორცნა** — გერმანელმა ფრანკა დიცშმა პირველივე ცდაზე 66,61 მეტრზე დასცა ბადრო და მერე მთელი შეჯიბრის განმავლობაში გერმანული უდრტვინველობით შესცქეროდა, როგორც ცდილობდნენ მის ჯობნას კუბელი იარელის ბარიოსი, რუსი დარია პიშჩალნიკოკა და რუმინელი ნიკოლეტა გრასუ. მან გერმანიას პირველი ოქრო მოუტანა, ბარიოსმა კი კუბას პირველი მედალი.

**ქალთა 100 მ თარჯრბენი** — აქ შვედეთმა კიდევ ერთი მედალი დაკარგა. პრინციპში, შვედგოგო სუზანა კალურმა რიგიანად ირბინა და 12,51-წამიანი შედეგით პირადი რეკორდიც დაამყარა, მაგრამ სხვები უკეთესები იყვნენ. ფავორიტთა დავაში ჩაერია იამაიკელი დელისონ ენის-ლონდონი და მან აართვა კალურს ბრინჯაო. ოქრო-ვერცხლი კი ამერიკელ-კანადელმა ვარსკვლავებმა — მიშელ პერიმ და პერდიტა ფელისიენმა გაიყვეს დაძაბულ ბრძოლაში.

**ქალთა 400 მ** — ამერიკას ამ სახეობაში ოქრო ზარ-ზეიმით უნდა მოეგო, მაგრამ საერთოდ უმედლოდ დარჩა. შეგახსენებთ, რომ 400 მეტრის მსოფლიო დედოფალმა სანია რიჩარდსმა ნაკრებში ადგილი დაკარგა, როცა შტატების შიდა ჩემპიონატზე ცხოვრებაში მგონი პირველი გარბენი ჩააფლავა და მეოთხეზე გავიდა. ჩინოვნიკებმაც სამივე მისი მჯობნი ჩასვეს ნაკრებში, ის კი გარეთ დატოვეს და აი, შედეგიც: იმ სამიდან ორი კი მოხვდა ფინალში, მაგრამ დიდი ტროტერი მხოლოდ მეხუთე იყო, მარი ვაინბერგი კი მერვე, ანუ უკანასკნელი.

ამასობაში ამერიკელთა უთავობით ისარგებლეს და ოქრო-ვერცხლს ბრიტანელი გოგონები დაეპატრონნენ — კრისტინ ოჰურუოგუ და ნიკოლა სანდერსი.

გარბენში მონაწილეობდა უცნობილესა მექსიკელი ანა გევარა, რომელიც ახალგაზრდობაში, ანუ სანია რიჩარდსის გადედოფლებამდე პირველობდა, ახლა კი ის საპატიო მეოთხე გახლდათ.

**კაცთა 1500 მ** — ორი დღის წინ საინტერესო რამ მოხდა ნახევარფინალური გარბენის დროს: ფავორიტებში ჩაწერილ ფრანგ მეჰდი ბაალას ზედ ფინიშის წინ რამდენიმე მორბენალმა გზა შეუკრა და შეგნებულად შეაფერხა. ნამდვილ ალყაში მოქცეულმა ფრანგმა იფიქრა, ფინალის საგზური მეცლება ხელიდანო, გზა მუჯლუგუნებით გაიკაფა და შედეგად ორი კაცი წააქცია. ორი დღის შემდეგ კი მას არასპორტული საქციელისთვის დისკვალიფიკაცია გამოუწერეს და ფინალიდან ამოწერეს, 12 ფინალისტს კი ის ორი წაქცეულიც (მათი გვარები ვერაფერს გეტყვიან) დაამატეს.

გარბენი მოიგო კენიური წარმოშობის ამერიკელმა ბერნარ ლაგატმა, ვინაც პასპორტითაც კენიელ შედრაქ კიბეტ კორირს ლამაზ ბრძოლაში აჯობა.

### 28 აგვისტო

**ჭოკით ხტომა. ქალები**

| | |
|---|---|
| 1 ელენა ისნბაევა (რუსეთი) | 4.80 |
| 2 კატერინა ბადუროვა (ჩეხეთი) | 4.75 |
| 3 სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) | 4.75 |

**ბადროს ტყორცნა. კაცები**

| | |
|---|---|
| 1 გერდ კანტერი (ესტონეთი) | 68.94 |
| 2 რობერტ ჰარტინგი (გერმანია) | 66.68 |
| 3 რუდგერ სმიტი (ჰოლანდია) | 66.42 |

**სიგრძეზე ხტომა. ქალები**

| | |
|---|---|
| 1 ტატიანა ლებედევა (რუსეთი) | 7.03 |
| 2 ლუდმილა კოლჩანოვა (რუსეთი) | 6.92 |
| 3 ტატიანა კოტოვა (რუსეთი) | 6.90 |

**სტიპლჩეიზი. კაცები**

| | |
|---|---|
| 1 ბრიმინ კიპროპ კიპრუტო (კენია) | 8.13,82 |
| 2 ეზეკელ კემბოი (კენია) | 8.16,94 |
| 3 რიჩარდ კიპკემბოი მატელონგი (კენია) | 8.17,59 |

**800 მ. ქალები**

| | |
|---|---|
| 1 ჯენეტ ჯეფკოსგეი (კენია) | 1.56,04 |
| 2 ჰანსა ბანჰასი (მაროკო) | 1.56,99 |
| 3 მაიტე მარტინესი (ესპანეთი) | 1.57,62 |

**400 მ თარჯრბენი. კაცები**

| | |
|---|---|
| 1 კერონ კლემენტი (აშშ) | 47.61 |
| 2 ფელიქს სანჩესი (დომინიკეთი) | 48.01 |
| 3 მარეკ პლავგო (პოლონეთი) | 48.12 |

### 29 აგვისტო

**სიმაღლეზე ხტომა. კაცები**

| | |
|---|---|
| 1 დონალდ ტომასი (ბაჰრეინი) | 2.35 |
| 2 იაროსლავ რიბაკოვი (რუსეთი) | 2.35 |
| 3 კირიაკოს იოანუ (კვიპროსი) | 2.35 |

**ბირთვის ტყორცნა. ქალები**

| | |
|---|---|
| 1 ფრანკა დიეცში (გერმანია) | 66.61 |
| 2 დარია პიშჩალნიკოვა (რუსეთი) | 65.78 |
| 3 იარელის ბარიოსი (კუბა) | 63.90 |

**100 მ თარჯრბენი. ქალები**

| | |
|---|---|
| 1 მიშელ პერი (აშშ) | 12.46 |
| 2 პერდიტა ფელისიენი (კანადა) | 12.49 |
| 3 დოლორინ ენის-ლონდონი (იამაიკა) | 12.50 |

**400 მ. ქალები**

| | |
|---|---|
| 1 კრისტინ ოჰურუოგუ (ბრიტანეთი) | 49.61 |
| 2 ნიკოლა სანდერსი (ბრიტანეთი) | 49.65 |
| 3 ნოველინ უილიამსი (იამაიკა) | 49.66 |

**1 500 მ. კაცები**

| | |
|---|---|
| 1 ბერნარ ლაგატი (აშშ) | 3.34,77 |
| 2 რაშიდ რამზი (ბაჰრეინი) | 3.35,00 |
| 3 შედრაქ კიბეტ კორირი (კენია) | 3.35,04 |




მეჰდი ბაალამ ფინალისკენ გზაზე მეტოქეები მიყარ-მოყარა და დისკვალიფიკაციას გამოჰკრა ხელი

### ბოტე ყორშია

**ქვეყნები და მედლები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 5 | 2 | 3 | 10 |
| რუსეთი | 3 | 4 | 2 | 9 |
| კენია | 3 | 1 | 4 | 8 |
| ეთიოპია | 2 | 1 | 0 | 3 |
| ბელარუსი | 1 | 1 | 1 | 3 |
| ბრიტანეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| გერმანია | 1 | 1 | 1 | 3 |
| ბაჰამები | 1 | 1 | 0 | 2 |
| იამაიკა | 1 | 0 | 3 | 4 |
| ეკვადორი | 1 | 0 | 0 | 1 |
| ესტონეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| ახალი ზელანდია | 1 | 0 | 0 | 1 |
| პორტუგალია | 1 | 0 | 0 | 1 |
| შვედეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| ესპანეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| ბრაზილია | 0 | 1 | 0 | 1 |
| კანადა | 0 | 1 | 0 | 1 |
| ჩეხეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| დომინიკეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| ბაჰრეინი | 0 | 1 | 0 | 1 |
| ყატარი | 0 | 1 | 0 | 1 |
| სლოვენია | 0 | 1 | 0 | 1 |
| მაროკო | 0 | 1 | 0 | 1 |
| უკრაინა | 0 | 1 | 0 | 1 |
| თურქეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| სლოვაკეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| ტუნისი | 0 | 0 | 1 | 1 |
| შვეიცარია | 0 | 0 | 1 | 1 |
| პოლონეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| ჰოლანდია | 0 | 0 | 1 | 1 |
| კვიპროსი | 0 | 0 | 1 | 1 |
| კუბა | 0 | 0 | 1 | 1 |

US OPEN 2007 **ამერიკის ღია პირველობა 2007** ჰარდი. საპრიზო 20 000 000 $

# ახალი ნიხრი: რუსი ქალები წუთობრივად მუშაობენ



მარია შარაპოვა

AFP ნიუ იორკიდან

წლის უკანასკნელი სლემტურნირის პირველ ორ სათამაშო დღეს არაფერი განსაკუთრებულად მოულოდნელი არ მომხდარა — ფავორიტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ადვილად უწია მეორე წრეს.

ტურნირის ყველაზე მაღალნომრიანი დანაკარგი ჯერჯერობით დანიელა ჰანტუხოვაა — მე-9 ნომრად განთესილი სლოვაკი, რომელიც იულია ვაკულენკომ დაიჟრინა. უკრაინელი მთელი მატჩის განმავლობაში უკეთესად გამოიყურებოდა და წესით, ორ სეტშიც უნდა ჩატეულიყო, მაგრამ მეორე პარტიაში გამარჯვების მოახლოებამ ზედმეტად აანერვიულა. თუმც ვაკულენკომ გადამწყვეტ სეტში აღარ გაუშვა თავისი შანსი ხელიდან და ჰანტუხოვას მხოლოდ კინკილა გეიმი დაანება.

კაცთა ბადეში კი ყველაზე სერიოზული დანაკლისი მე-18 ნომერი მარკოს ბაღდატისი გახლავთ, რომელსაც ასევე სლავმა, ოღონდ ამჯერად ბელარუსმა მაქს მირნიმ გამოუყვანა წირვა. თუმც კვიპროსელის წაგებას ხმაურიან სენსაციებში ვერაფრით ჩავწერთ მისი არასტაბილურობის გამო — ამ კაცის თამაში ყოველთვის ძნელადპროგნოზირებადია, რის გამოც მას ნებისმიერი მატჩის მოგებაც და წაგებაც თანაბრად შეუძლია. მოკლედ, ბაღდატისის წარმატება დიდწილად ხასიათზეა დამოკიდებული — თუ წაუვა თამაში, ხომ კარგი, თუ არადა...

ჰოდა, ახლაც ისეთი დღე იყო, როცა ბაღდატისს თამაში საერთოდ არ წაუვიდა. არადა, მირნის ახალი არაფერი შეუთავაზებია მეტოქისთვის. ბელარუსი ჩვეულ სტილში, პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში ბადესთან გასვლის ტაქტიკით თამაშობდა. რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, თანამედროვე ჩოგბურთში გადმონაშთად ქცეულ ამ სათამაშო სტილს კვიპროსელმა საერთოდ ვერაფერი მოუხერხა — ბადესთან გასული ორმეტრიანი ბელარუსის დანახვაზე კუნძულელი ისე იბნეოდა, რომ ხეირიანს ვერაფერს ახერხებდა. ლოგიკურ შედეგად კი მირნის გამარჯვება იქცა მატჩის დასაწყისიდან სამსაათნახევრის თავზე.

სამაგიეროდ, ადვილად იმარჯვეს სხვა განთესილებმა. ჩვენ როჯერ ფედერერის ამბებით დავიწყოთ, რომელსაც კვალიფიკაციიდან მოხვედრილ მასპინძელი სკოვილ ჯენკინსთან მოუწია დაპირისპირება. გენიალურმა შვეიცარიელმა დიდი ჩოგბურთის გაკვეთილი ჩაუტარა ახალგაზრდა ამერიკელს და სრულიად აუღელვებლად იმარჯვა.

კარგად დაიწყო ნოვაკ ჯოკოვიჩმაც, რომელიც მარიო ანჩიჩის მაგივრად რობინ ჰააზეს შეხვდა და ჰოლანდიელისგან ქვა ქვაზე არ დატოვა. ისე, ბალკანური დერბი უნდა გვენახა, მაგრამ ანჩიჩმა ბოლომდე ვერ მოიშუშა ტრავმა, რომელმაც ხორვატს ფაქტობრივად მთელი სეზონი გააცდენინა და სწორედ ამის გამო დაიკავა ჰოლანდიელმა მისი ადგილი. თუმც ჰააზეს ლუი არმსტრონგის სახელობის კორტზე დიდ ხანს დარჩენა არ მოუწია, რადგა-



ჯეიმს ბლეიკი

AFP ნიუ იორკიდან

## პირველი წრე

### კაცები

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — სკოვილ ჯენკინსი (აშშ) 6:3 6:2 6:4; **პოლ კაპდევილი** (ჩილე) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 5:7 6:3 5:7 6:4 6:3; **რიკ დე ვოესტი** (სამხრეთ აფრიკა) — ტიერი ასიონე (საფრანგეთი) 6:2 3:0 (უარი); **ჯონ აისნერი** (აშშ) — იარკო ნიემინენი (26, ფინეთი) 6:7 7:6 7:6 6:4; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — ხუან-კარლოს ფერერო (21, ესპანეთი) 6:3 6:4 6:4; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — რობერტ კენდრიკი (აშშ) 7:6 6:3 6:4; **დონალდ იანგი** (აშშ) — კრის გუჩიონე (ავსტრალია) 6:7 6:3 6:2 6:3; **რიშარ გასკე** (13, საფრანგეთი) — სერხიო როიტმანი (არგენტინა) 7:5 6:1 6:2; **ტომაშ ბერდიხი** (9, ჩეხეთი) — მარკ ჟიკელი (საფრანგეთი) 6:3 7:6 6:2; **სიმონე ბოლელი** (იტალია) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 6:3 6:4 3:6 6:1; **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) — ალექსანდერ ვასკე (გერმანია) 6:4 6:1 (უარი); **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — პოლ-ანრი მატიო (22, საფრანგეთი) 3:6 1:6 6:4 6:3 6:3; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ივო კარლოვიჩი (32, ხორვატია) — 7:6 6:4 4:6 6:7 6:4; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 2:6 7:6 6:3 6:3; **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — მარტინ ვასალო არგუელო (არგენტინა) 6:4 6:7 6:3 6:4; **ენდი როდიკი** (5, აშშ) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 7:6 6:3 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — ჯეს ლევინი (აშშ) 6:4 6:1 6:0; **ნიკლას კიფერი** (გერმანია) — ვინსენტ სპადეა (აშშ) 6:2 7:6 6:3; **ლუის ჰორნა** (პერუ) — პეტრ ლუქაკი (ავსტრია) 7:6 6:3 7:6; **ნიკოლას ალმაგრო** (28, ესპანეთი) — ალექს კუზნეცოვი (აშშ) 6:4 6:0 7:6; **ენდი მიურეი** (19, ბრიტანეთი) — პაბლო კუევასი (ურუგვაი) 6:2 6:3 6:0; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — ხუან-პაბლო გუზმანი (არგენტინა) 6:3 7:6 6:2; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (სამხ. კორეა) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:7 6:4 7:5 6:7 6:4; **გილერმო კანასი** (14, არგენტინა) — რუბენ რამირეს-იდალგო (ესპანეთი) 6:3 4:6 7:5 6:3; **ტომი ჰაასი** (10, გერმანია) — სტივ დარსისი (ბელგია) 6:7 7:5 6:3 6:4; **ფილიპ პეტშნერი** (გერმანია) — ბენჯამინ ბეკერი (გერმანია) 2:6 3:6 6:4 6:4 6:1; **სებასტიან გროჟანი** (საფრანგეთი) — პოლ გოლდსტეინი (აშშ) 6:1 4:1 (უარი); **მაქს მირნი** (ბელარუსი) — მარკოს ბაღდატისი (18, კვიპროსი) 6:3 7:5 3:6 7:6; **მიშელ ლოდრა** (საფრანგეთი) — ფილიპო ვოლანდრი (29, იტალია) 6:3 4:6 6:4 6:4; **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) — სემ ქუერეი (აშშ) 7:6 6:1 6:1; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 6:1 6:7 6:2 6:1; **ჯეიმს ბლეიკი** (6, აშშ) — მაიკლ რასელი (აშშ) 7:6 6:3 7:6; **ლეიტონ ჰიუიტი** (16, ავსტრალია) — ამირ დელიჩი (აშშ) 6:2 6:4 6:2; **აგუსტინ კალერი** (არგენტინა) — ანდრეა სეპი (იტალია) 6:4 6:4 3:6 7:5; **დუდი სელა** (ისრაელი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 5:7 6:2 6:1 6:3; **ხუან მონაკო** (23, არგენტინა) — ედუარდ როჟე-ვასელენი (საფრანგეთი) 6:2 3:6 6:1 7:5; **იურგენ მელცერი** (31, ავსტრია) — დიეგო ჰარტფილდი (არგენტინა) 6:4 7:5 7:5; **ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგენტინა) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) 6:0 6:4 6:2; **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი) — კარლოს ბერლოკი (არგენტინა) 7:6 6:7 6:4 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — რობინ ჰააზე (ჰოლანდია) 6:2 6:1 6:3; **ხუან-იგნასიო ჩელა** (20, არგენტინა) — მაიკლ მაკლუნი (აშშ) 6:2 6:1 7:6; **უეინ ოდესნიკი** (აშშ) — დანაი უდომჩოკე (ტაილანდი) 6:7 6:3 6:1 3:6 7:6; **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — დომინიკ მეფერტი (გერმანია) 3:6 6:3 6:2 7:5; **ივან ლიუბიჩიჩი** (12, ხორვატია) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) 6:1 7:6 6:1; **დავიდ ფერერი** (15, ესპანეთი) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 6:3 6:2 6:3; **ფლორენ სერა** (საფრანგეთი) — ვერნერ ეშაუერი (ავსტრია) 6:7 7:6 6:4 6:2; **ქსავიე მალისი** (ბელგია) — კრისტიან პლესი (დანია) 6:4 6:7 6:3 7:5; **დავიდ ნალბანდიანი** (24, არგენტინა) — ივან ნავარო პასტორი (ესპანეთი) 7:5 7:6 7:6

### ქალები

**ჟუსტინ ენინი** (1, ბელგია) — ჯულია გორგესი (გერმანია) 6:0 6:3; **ცვეტანა პირონკოვა** (ბულგარეთი) — ოლგა პუჩკოვა (რუსეთი) 6:3 6:4; **ეკატერინა მაკაროვა** (რუსეთი) — ჯულია შრუფი (გერმანია) 6:1 0:6 6:2; **აი სუგიამა** (28, იაპონია) — ანდრეა კლეპაჩი (სლოვენია) 6:3 6:1; **აშა როლე** (აშშ) — ტატიანა გოლოვინი (17, საფრანგეთი) 6:4 1:6 6:2; **კარინ კნაპი** (იტალია) — იუნგ-იან ჩანი (ტაივანი) 6:2 6:0; **კატერინა ბონდარენკო** (უკრაინა) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:3 7:6; **დინარა საფინა** (15, რუსეთი) — კატალინა კასტანო (კოლუმბია) 6:2 6:3; **მარიონ ბარტოლი** (10, საფრანგეთი) — ალექსა გლაჩი (აშშ) 6:1 6:1; **სარა ერანი** (იტალია) — რენატა ვორაცოვა (ჩეხეთი) 7:5 6:3; **ანდრეა პეტკოვიჩი** (გერმანია) — ოდრა კოენი (აშშ) 6:4 6:1; **ლუსი შაფაროვა** (20, ჩეხეთი) — ჯესიკა მური (ავსტრალია) 6:3 6:2; **ვერა ზვონარიოვა** (27, რუსეთი) — ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) 6:0 6:7 6:0; **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) — ლორენ ალბანეზე (აშშ) 6:0 6:2; **მარია ელენა კამერინი** (იტალია) — ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) 6:3 7:6; **სერენა უილიამსი** (8, აშშ) — ანჟელიკ კერბერი (გერმანია) 6:3 7:5; **ელენა იანკოვიჩი** (3, სერბეთი) — იარმილა გაიდოშოვა (სლოვაკეთი) 6:2 7:6; **ოლგა გოვორცოვა** (ბელარუსი) — სოფია არვიდსონი (შვედეთი) 6:3 2:6 6:3; **კაროლინ ვოზნიაკი** (დანია) — ციპორა ობზილერი (ისრაელი) 4:6 6:2 7:5; **ალიზე კორნე** (საფრანგეთი) — სამანტა სტოსური (29, ავსტრალია) 6:3 6:2; **სიბილ ბამერი** (19, ავსტრია) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:4 6:4; **მეგან შონესი** (აშშ) — ვანია კინგი (აშშ) 6:3 5:7 6:4; **პეტრა ცეტკოვსკა** (ჩეხეთი) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:0 7:6; **ელენა დემენტიევა** (14, რუსეთი) — სტეფანი კოენ-ალორო (საფრანგეთი) 6:4 6:3; **ვინუს უილიამსი** (12, აშშ) — კირა ნაგი (უნგრეთი) 6:2 6:1; **იოანა რალუკა ოლარუ** (რუმინეთი) — ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 7:5 1:6 6:4; **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 6:2 6:4; **ალიონა ბონდარენკო** (21, უკრაინა) — გიზელა დულკო (არგენტინა) 6:4 6:3; **ვერა დუშევინა** (რუსეთი) — მარა სანტანჯელო (26, იტალია) 6:2 6:4; **ეკატერინა ბიჩკოვა** (რუსეთი) — ძი იანი (ჩინეთი) 6:2 6:4; **არავანე რეზაი** (საფრანგეთი) — ხორხელინა კრავერო (არგენტინა) 6:3 7:6; **ანა ივანოვიჩი** (5, სერბეთი) — აიკო ნაკამურა (იაპონია) 6:1 6:1; **ნადია პეტროვა** (7, რუსეთი) — ტიმეა ბაჩინსკი (შვეიცარია) 6:3 6:1; **ანასტასია როდიონოვა** (რუსეთი) — ოლგა სავჩუკი (უკრაინა) 6:4 6:4; **აგნეს სავაი** (უნგრეთი) — სანდრა კლოზელი (გერმანია) 6:1 6:2; **მიქაელა კრაიჩეკი** (32, ჰოლანდია) — ალბერტა ბრიანტი (იტალია) 6:2 6:0; **კატარინა სრებოტნიკი** (22, სლოვენია) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 6:2 6:2; **მარია კირილენკო** (რუსეთი) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:3 6:1; **ელენა კოსტანიჩ-ტოსიჩი** (ხორვატია) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 6:4 6:2; **იულია ვაკულენკო** (უკრაინა) — დანიელა ჰანტუხოვა (9, სლოვაკეთი) 4:6 6:3 6:1; **მარტინა ჰინგისი** (16, შვეიცარია) — მატილდა იოჰანსონი (შვედეთი) 6:0 6:3; **პაულინ პარმანტიე** (საფრანგეთი) — ტატიანა მალეკი (გერმანია) 6:2 6:4; **ვიქტორია აზარენკა** (ბელარუსი) — ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) 6:1 6:1; **დომინიკა ციბულკოვა** (სლოვაკეთი) — ტატიანა გარბინი (23, იტალია) 6:4 6:3; **ანაბელ მედინა გარიგესი** (31, ესპანეთი) — ალექსანდრა ვოზნიაკი (კანადა) 6:3 6:3; **ლურდეს დომინგეს ლინო** (ესპანეთი) — იუნ იონგ ჩო (სამხ. კორეა) 3:6 6:3 6:3; **კამილ პინი** (საფრანგეთი) — ტატიანა პერებინისი (უკრაინა) 6:1 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (4, რუსეთი) — კლარა ზაკოპალოვა (ჩეხეთი) 6:2 6:3; **ანა ჩაკვეტაძე** (6, რუსეთი) — ეშლი ვაინჰოლდი (აშშ) 6:1 6:1; **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) — ჯამეა ჯექსონი (აშშ) 3:6 6:4 6:0; **ლაურა გრენვილი** (აშშ) — ოლივია სანჩესი (საფრანგეთი) 6:2 6:2; **სანია მირზა** (26, ინდოეთი) — კაია კანეპი (ესტონეთი) 6:2 6:7 6:1; **ფრანჩესკა შიავონე** (24, იტალია) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:3 6:1; **ტამირა პაშეკი** (ავსტრია) — გრეტა არნი (გერმანია) 6:4 6:4; **სევერინ ბრემონი** (საფრანგეთი) — ედინა გალოვიცი (რუმინეთი) 6:1 7:5; **პატი შნიდერი** (11, შვეიცარია) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:3 6:0; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (13, ჩეხეთი) — ალა კუდრიავცევა (რუსეთი) 6:1 6:2; **ფლავია პენეტა** (იტალია) — შუაი პენგი (ჩინეთი) 1:6 6:3 6:4; **ბეტანი მატეკი** (აშშ) — მედისონ ბრენგლი (აშშ) 6:4 6:1; **შაჰარ პეერი** (18, ისრაელი) — მეილენ ტუ (აშშ) 6:4 7:6; **აგნეშკა რადვანსკა** (30, პოლონეთი) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 6:2 6:1; **ვირჟინი რაზანო** (საფრანგეთი) — ემილია ლუა (საფრანგეთი) 6:1 6:2; **ქეისი დელაკუა** (ავსტრალია) — იაროსლავა შვედოვა (რუსეთი) 6:3 6:2; **მარია შარაპოვა** (2, რუსეთი) — რობერტა ვინჩი (იტალია) 6:0 6:1

US OPEN 2007

# ამერიკის ღია პირველობა 2007
## ჰარდი. საპრიზო 20 000 000$



AFP ნიუ იორკიდან

ამერიკის ღია ჩემპიონატი არეტა ფრანკლინმა სიმღერით დააფასა

ნაც ჯოკოვიჩმა საათნახევარში დაიჭრინა და დაამტკიცა, რომ ტყუილად არ მოიხსენიებენ ფავორიტთა შორის.

"თავიდან ცოტას კი ვნერვიულობდი, მაგრამ ნელ-ნელა ჩემი თამაში ვიპოვე და ყველაფერი კარგად წავიდა. ისე, მაყურებლის რაოდენობამ გამაკვირვა — არ მეგონა, პირველივე შეხვედრაზე ტრიბუნები თუ გაივსებოდა. ჩანს, ბევრს აინტერესებს რას წარმოვადგენ" — გახარებული იყო ნამატჩევს ჯოკოვიჩი.

სერბს ბევრით არ ჩამორჩა და მასავით იოლად იხეირა კიდევ ერთმა ფავორიტმა ლეიტონ ჰიუიტმაც, რომელმაც ჯოკოვიჩზე ათი წუთით მეტი მოანდომა მასპინძელ ამირ დელიჩის წაქცევას.

ფავორიტთაგან ყველაზე მეტად მასპინძლებს — ენდი როდიკსა და ჯეიმს ბლეიკს გაუჭირდათ, რომლებსაც თანამემამულეებმა, შესაბამისად ჯასტინ გიმელსტობმა და მაიკლ რასელმა, გვარიანი ოფლი დაალვრევინეს.

განსაკუთრებით მაინც ბლეიკმა იწვალა, რომელსაც რასელმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა. ნაკლებაც ცნობილი იანკი არაფერს უთმობდა გაცილებით გამოცდილ თანამემამულეს, რის გამოც ბლეიკმა მატჩში მხოლოდ ერთი ბრეიკი გააკეთა. თუმც თვითონ არც ერთი საკუთარი მოწოდება არ დაუთმია. ორი სეტის ბედი კი ტაიბრეიკებზე გადაწყდა, სადაც შავტუხა ამერიკელის კლასმა მაინც თავისი გაიტანა — მთლიანობაში კი ბლეიკს მაგრად გაუმართლა, სამ სეტში ჩატევა რომ მოახერხა.

როდიკმა და გიმელსტობმა კი ნამდვილი სპექტაკლი დადგეს — ოღონდ ეს არა უშუალოდ მატჩს, არამედ ნამატჩევს მომხდარ მოვლენებს შეეხება. საქმე იმაშია, რომ წაგების შემდეგ გიმელსტობმა გამოაცხადა, წლეულს ჩოგბურთიდან მივდივარ და "ფლეშინგ მედოუზზეც" ეს ჩემი ბოლო გამოსვლა იყოო. შემდეგ გიმელსტობი, რომელიც ჟურნალისტობას გეგმავს, თავის მომავალ საქმიანობას შეუდგა და როდიკს კორტზევე ჩამოართვა ინტერვიუ:

"საკმაოდ ძნელი შეხვედრა იყო. თავიდან მაგრად გამიჭირდა და გამიმართლა, პირველი სეტი რომ მოვიგე. თუმც მერე ჩემი თამაში ვიპოვე, თან შენც აშკარად მოუკელი და ბოლო ორ პარტიაში აღარ გამჭირვებია" — მოახსენა როდიკმა მეტოქე-ჟურნალისტს.

გიმელსტობმა კი, ზურგი ამტკივდა და შეხვედრა საერთოდ რომ ჩავამთავრე, ეგეც მიღწევა იყოო. ეგ იყო და ეგ — მერე ჯასტინი ოვაციებით გააცილეს.

პრობლემები არც ქალ ფავორიტებს ჰქონიათ. ამათგან განსაკუთრებით იოლად მაინც რუსებმა იხეირეს.

მარია შარაპოვათი დავიწყოთ, რომელმაც კორტზე ეფექტური შოუ დადგა. ჯერ იყო და ბრილაინტებით მოოჭვილი ზურგჩანთით გავიდა კორტზე, ხოლო სათამაშოდ რომ გაემზადა, მისთვის ამ ტურნირისთვის სპეციალურად შეკერილი კაბა გამოაჩინა, რომლის ხასხასა წითელმა ფერმა ბევრი ლამის შოკში ჩააგდო. ჰოდა, ნაწილობრივ ბრილიანტებითა და ნაწილობრივ კაბის ელვარებით თვალებდაბინდულმა რობერტა ვინჩიმ ვერანაირი წინაღმდეგობა ვერ გაუწია რუს პრიმას და 50 წუთში დამარცხდა. ყველაზე კურიოზული კი ის იყო, რომ როცა ვინჩიმ თავისი პირველი და მატჩში ერთადერთი გეიმი მოიგო, ისე გაუხარდა, თითქოს მთლიანად ტურნირის ჩემპიონი გამხდარიყოს.

შარაპოვაზე ოდნავ, დაახლოებით 15 წუთით მეტი მოანდომა თავისი შეხვედრის მოგებას სვეტლანა კუზნეცოვამ, რომელთანაც კლარა ზაკოპალოვამ საერთოდ ვერაფერი გააწყო. მაგრამ ყველას მაინც ანა ჩაკვეტაძემ აჯობა — ქართული ფესვების მქონე რუსმა ლამის ტურნირის რეკორდს გამოკრა ხელი, როცა მასპინძელი ეშლი ჰარკლროუდის გაცამტვერებისთვის 40 წუთზე ოდნავ მეტი იკმარა.

რუსებს არ ჩამორჩა ანა ივანოვიჩიც, რომელმაც აიკო ნაკამურას მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო. თითქმის იმავე გრაფიკით მიდიოდა ჟუსტინ ენინიც, მაგრამ პირველ სეტში ნულზე გაყინვის შემდეგ გერმანელი კლარა გორგესი დაინდო და "დიდუსლოვნად" დაუთმო სამი გეიმი. თანამემამულისგან განსხვავებით, ოდნავ გაუჭირდა ელენა იანკოვიჩს, რომელმაც რატომღაც ბევრი ინერვიულა იარმილა გაიდოშოვასთან შეხვედრაში და საქმე კინაღამ მესამე სეტამდე მიიყვანა.

ცოტა მძიმედ გამოიყურებოდნენ თავიანთ შეხვედრებში შავდა უილიამსები. თუმც ეს მოსალოდნელიც იყო, რადგანაც ორივე სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას განიცდის. ამის მიუხედავად, უილიამსებმა მთლიანობაში დამაჯერებლად იმარჯვეს, ნამატჩევს კი პირობა დადეს, აუცილებლად მოვუმატებთო.

**ძახა ლოგაშვილი**

# ქართულმა ვერ გაჭრა

**ეგვიპტეში**, ჰელიოპოლისის თიხნარზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე კაცთა ათიათასიანი ტურნირი ქართველი ნოდარ ითონიშვილისთვის პირველივე წრეში დასრულდა.

ჩვენებურის მეტოქე რეიტინგში 1384-ე ადგილზე მყოფი 19 წლის სლოვენიელი ზორან გოლუბოვიჩი იყო, რომელმაც ითონიშვილს დაძაბულ სამსეტიან ჯახში 7:5 6:7 6:4 მოუგო.

მოსკოვში კი, სადაც ქალთა 50-ათასიანი შეჯიბრი ტარდება, ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან გასულმა სოფო შაფათავამ პირველ წრეში იოლად — 7:6 6:2 დაჯაბნა ტურნირზე ორგანიზატორთა მიწვევით მოთამაშე 17 წლის რუსი ვალენტინა კომაროვა. მეორე წრეში სოფო 19 წლისა და კლასიფიკაციაში 383-ე პოზიციაზე მყოფ რუმინელ მიხაელა ბაზარნესკუს შეხვდა და სამწუხაროდ 4:6 2:6 დამარცხდა.



ორშაბათს რაგბის საერთაშორისო საბჭოს მიერ დაწესებული მსოფლიოს თასის წინა ეტაპის ტესტ-მატჩების [illegible] ამოიწურა. ახლა თასის მონაწილე ოცივე ნაკრები საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში განაწილდა და [illegible] ადგილის მიხედვით გაშალა ბანაკი. სამსოფლიოსთასო განაცხადში კი ერთ-ორი ცვლილებაც მოხდა

# არწივებს ტუი დაიცავს

**აშშ-ის** ნაკრების ფულბეკს (15 ნომერი) ფრანსის ფილხოენს მაგრად არ გაუმართლა. „არწივების" ტომით სამხრეთაფრიკელი მცველი მომცრო ფრანგულ ქალაქ მესკატინში სანაკრებო შეკრებისას დაშავდა. ფილხოენს მუხლის მძიმე ტრავმის დიაგნოზი დაუსვეს და საოპერაციოდ სახლში მიაბრუნეს.

ფილხოენი წარმოშობით ფიჯელმა, ახლა კი აშშ-ის მოქალაქემ, ენდრიუ „ტუი" ოზბორნმა შეცვალა, ვინც ფიჯის პასპორტთან ერთად, თავისი სახელი და გვარი ამერიკულ პასპორტსა და ახალ გვარსახელზე გადაცვალა.

იქამდე ენდრიუ „ტუი" ოზბორნი ტუტაი ტევატა იყო.

# იტალიელთა პრობლემები

**იტალიის** ნაკრების ფრანგმა მწვრთნელმა, ლეგენდარულმა პიერ ბერბიზიემ „სკუადრა აძურას" სამსოფლიოსთასო განაცხადში ბოლო დირექტივები შეიტანა. გადაწყდა, რომ ტრავმირებული მორკინალის ფაბიო სტაბიანოს მაგივრად, მსოფლიოს თასზე აყლაყუდა მეორეხაზელი კარლო დელ ფავა ირაგბებს.

დელ ფავა აქამდე საერთოდ არ იყო 30-კაცა შემადგენლობაში, მაგრამ ფაბიო სტაბიანომ ვერაფრით მოირჩინა ერთი თვის წინ მიღებული ტრავმა და ბერბიზიე იძულებული შეიქნა, ფავათი შეეცვალა.

თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, რომ მსოფლიოს თასის პირველ ტურში ახალ ზელანდიასთან ვერ ითამაშებენ იტალიელთა ძირითადი მორკინალები გონსალო კანალე და რობერტ ბარბიერი. ორივე ათი დღის წინ ირლანდიასთან ტესტ-მატჩისას დაშავდა და სარაგბოდ მზად მხოლოდ ორი კვირის შემდეგ იქნებიან. მსოფლიოს ჩემპიონატამდე კი რვა დღეღა დარჩა.

# ვუდვორდის ფიქრები: ისევ ჩემპიონები ვიქნებით



**ინგლისის** ნაკრების ყოფილი მწვრთნელი კლაივ ვუდვორდი, ვინც წინა მსოფლიოს თასზე ინგლისი გააჩემპიონა, მიიჩნევს, რომ „ვარდებს" ახლაც ძალუძთ იმავეს გაკეთება.

„მე ვიცი, რა შეუძლია ახანდელ ინგლისს და ვიცი, რას ფიქრობენ მეტოქეები. ინგლისს შეუძლია, ზედიზედ მეორედ მოიგოს მსოფლიოს თასი, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ტესტ-მატჩები ულაპარაკოდ წააგო. ეს ფაქტორიც კი, რაც უნდა პარადოქსული იყოს, ჩვენს შანსებს ზრდის. ახლა მთავარ ფავორიტებად არავინ გვთვლის და ჩვენს წინააღმდეგ გაშლილად და ლაღად ითამაშებენ. ეს უნდა გამოვიყენოთ, დროებით სანახაობრივი რაგბი დავივიწყოთ და ავსტრალიელებს მივბაძოთ. წინა მსოფლიოს თასზე მათ სწორედ პრაგმატიზმით დაამარცხეს ურჩხული, რომელსაც ახალი ზელანდია ჰქვია" — განაცხადა ვუდვორდმა.

ვუდვორდისავე თქმით, იმისთვის, რომ ინგლისის ნაკრებმა საკუთარი თავის ირწმუნოს, მთავარია, ჯგუფში სამხრეთ აფრიკა დაამარცხოს: „სამხრეთ აფრიკა ღონიერ, მაგრამ უფანტაზიო რაგბის თამაშობს. ჩვენებმა მათ ღონით, მრავალფეროვნებით უნდა აჯობონ, ამის შემდეგ კი ტემპი არ დააგდონ."

# სტრონტონის მსოფლიო გლაზგოშია

**გლაზგოს** „ვორიორზმა" ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა არგენტინის ნაკრების და ინგლისური „ბრისტოლის" აწ უკვე ყოფილ ფულბეკს ბერნარდო სტორტონის.

30 წლის სტორტონი არგენტინის ნაკრების სამოსფლიოსთასო 30-კაცა განაცხადში ვერ მოხვდა. არადა, წლევანდელ სეზონში „ბრისტოლის" შემადგენლობაში 42 მატჩი ითამაშა და 18 ლელო გაიტანა. ამასთან, სტრონტონი პრემიერლიგაში საუკეთესო მცველად აღიარეს. „მსოფლიოს თასზე რომ არ წამიყვანეს, საშინლად იმედგაცრუებული ვიყავი, ახლა კი ხასიათი ოდნავ გამომიკეთდა" — თქვა სტრონტონმა.

**ბაჩო სვანიძე**



ტიმო გლოკი

# ბავშვების დიდი თამაშები

**სამი ეტაპიც** და „მომავლის რბოლების“ — GP2 სერიის პილოტები თავიანთ ზეემოციურ ჩემპიონატს ჩაამთავრებენ. ისედაც მწვავე სატიტულო ბრძოლა ფინიშის მოახლოებასთან ერთად უფრო გამძაფრდა და დრამატული სახეც მიიღო. არცაა გასაკვირი — „ბავშვები“ ხომ „დიდ“, ფორმულა I-ში გზის გასაკვლევად იბრძვიან, საამისოდ კი ხშირად არც თავიანთ მანქანებს ზოგავენ და არც კონკურენტებისას.

ასე იყო ბოლო, თურქულ გრან პრიზეც. ორივე რბოლისას ბლომად ავარია მოხდა, თუმც, საბედნიეროდ, მძღოლები უვნებლად გადარჩნენ. ამ ორომტრიალში ყველაზე მეტად დაზარალდა იაპონელი კაზუკი ნაკაჯიმა, რომელმაც 11-ეტაპიანი სეზონის უხეიროდ დაწყების შემდეგ თანდათან გამოასწორა სატურნირო ვითარება და ზედიზედ ხუთი პოდიუმის წყალობით „ისტანბულ-პარკში“ გაჯიბრებების წინ გენერალურ კლასიფიკაციაში მესამე პოზიციაზე იდგა. მაგრამ, ისევ მაგრამ...

ყოფილ მეფორმულე სატურო ნაკაჯიმას ვაჟიშვილმა თავად გაიფუჭა საქმე მორიგი ავარიით, როცა წინმავალ აუტსაიდერ კარუნ ჩანჰოკის აგრესიულად გასწრებისას თავისი „დამსი“ მოსახვევში ცხვირით აძგერა ინდოელის „დურანგოს“ და რბოლას გამოთიშა. კაზუკიმ თავად კი გააგრძელა ბრძოლა, მაგრამ სტიუარდებმა მომხდარისთვის იგი პიტლაინზე ნელა ჩავლით დააჯარიმეს, რაც უკვე წაგების ტოლფასი იყო, მერე კი სულაც ბოლიდი გაუფუჭდა და ფინიშამდეც ვეღარ მიაღწია.

ორიოდე თვის წინ გერმანელ ტიმო გლოკს („აისპორტი“) მხოლოდ ლიდერობა კი არა, ლამის ჩემპიონობაც განაღდებული ჰქონდა — უახლოეს მდევარს 16 ქულით უსწრებდა, მაგრამ მერე კრიზისული პერიოდი დაუდგა. ექვსი უპოდიუმო რბოლის შემდეგ გლოკს მეწინავეობა ბრაზილიელმა ლუკას დი გრასიმ ჩამოართვა, თუმც ესეც დროებითი ამბავი აღმოჩნდა.

სტამბოლში მეორე, სპრინტერულ (122კმ) რბოლაში ჩანჰოკი და ნაკაჯიმა კარგა ხანს გლოკზე წინ კი მიდიოდნენ, მაგრამ ნახსენები კონფლიქტის შემდეგ ლიდერობა ტიმომ იგდო ხელთ და უპრობლემო გამარჯვებაც მოიპოვა.

დი გრასი ფინიშთან მხოლოდ მეთერთმეტე მიგორდა და უქულოდ დარჩა, გლოკმა კი საპირველადგილო ექვსი ქულით გენერალური ლიდერობა დაიბრუნა, თუმც არცთუ ბევრით, ოდენ ორი ქულითაა უმთავრეს კონკურენტზე წინ.

**გია ახალაძე**



# წამების საქმე



ხოსე გუტიერესი

AFP

**ბენილუქსის** ქვეყნების — ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის გაერთიანებული შვიდეტაპა რბოლა, რომელსაც სხვანაირად „ენერგოტურსაც“ ეძახიან და პროტურის სერიაში შედის, წლეულს მესამედ ტარდება.

პროლოგისა და პირველი ეტაპის შემდეგ ლიდერობა ფრანგული „კოფიდისის“ ბელგიელმა მრბოლმა ნიკ ნიუენსმა იგდო ხელთ და მოწინავის წითელი მაისურა ბოლოსწინა, მეექვსე ეტაპის დასრულებამდე არც არავის დაუთმო.

ოთხი ეტაპის შემდეგ ნიუენსი გენერალურ კლასიფიკაციაში 10 წამს უგებდა „რაბობანკის“ ჰოლანდიელ ტომას დეკერს და სურათი, არც მეხუთე, ტერნეზენსა და ნიუვეგეინს შორის გაჭიმული 177-კილომეტრიანი ეტაპის შემდეგ შეცვლილა.

ბენილუქსის ქვეყნებში მაღალი მთები არ არის, შესაბამისად პელოტონიდან გაქცევა ძნელია და როგორც წესი, ეტაპის გამარჯვებულის ვინაობა ბოლო მეტრებზე, ჯგუფური ფინიშისას ირკვევა ხოლმე. მეხუთე ეტაპზეც ასე მოხდა და მოულოდნელად, ყველაზე მარდი ესპანური „სონი დიუვალის“ ბრაზილიელი ლუსიანო პაგლარინი აღმოჩნდა, რომელმაც მცირედით აჯობა მეორე ეტაპის მომგებ ბრიტანელ მარკ კავენდიშსა („T-მობაილი“) და ავსტრალიელ გრემ ბრაუნს („რაბობანკი“).

მეექვსე ეტაპი 177-კილომეტრიანი იყო. ბეეკსა და ლანდგრააფს შორის ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ გზაზე გაქცევის რამდენიმე მცდელობა და ზედახორა იყო. ერთ-ერთ ზედახორაში ნიუენსიც მოჰყვა და შედეგად, ბელგიელი წითელ მაისურასაც დაემშვიდობა და მთლიანად რბოლასაც.

რამდენიმე მრბოლმა კი მაინც მოახერხა ძირითადი ჯგუფისგან მცირედით დასხლტომა და ამათ შორის ყველაზე სწრაფი „კაისე დეპარნის“ ესპანელი პაბლო ლასტრასი აღმოჩნდა, რომელმაც 177-კილომეტრიანი გზა 4 საათში, 15 წუთსა და 28 წამში გალია. მეორე ბელგიელი სტივენ კაიტოვენი იყო, ხოლო მესამე ადგილი დანიელმა ანდრეს ლუნდმა დაიკავა.

საერთო ჩათვლაში ნიუენსის ადგილი დეკერმა დაიკავა, ვინც 4 წამს უგებდა ლასტრასის თანაგუნდელსა და თანამემამულეს ხოსე გუტიერესს, ხოლო მესამე ადგილზე მყოფი ბრიტანელი დევიდ მილარი („სონი დიუვალი“) ლიდერს 6 წამით ჩამორჩებოდა.

ოთხწამიანი უპირატესობა დეკერს არ იყო. გუშინ სიტარდიდან გელეენამდე ბენილუქსური რბოლის ბოლო ეტაპი, 30-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა გაიმართა და ჰოლანდიელმა მშობლიურ გზებზე სრული კრახი განიცადა — გუტიერესთან წუთზე მეტი წააგო და საბოლოო ჯამში მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა.

ეტაპი „ქვიკ სტეპის“ ბელგიელმა სებასტიენ როზელერმა მოიგო, რომელმაც არასრული 30 კილომეტრის გავლას 36 წუთი და 50 წამი მოანდომა. გუტიერესი მას ოდენ ორი წამით ჩამორჩა და, რადგანაც, მილარი ორი ადგილითა და 9 წამით უფრო უკან აღმოჩნდა, წლევანდელი „ენერგოტური“, სწორედ „კაისე დეპარნის“ მრბოლის გამარჯვებით დასრულდა.

ესპანელმა მილარს გენერალურ კლასიფიკაციაში მხოლოდ 11 წამით აჯობა, ხოლო მესამე ადგილი, როგორც ბოლო ეტაპზე, ისე საერთო ჩათვლაში, „უნიბეთის“ შვედმა გუსტავ-ერიკ ლარსონმა დაიკავა.



# პეტერბურგული სილა და ბურთი

**გუშინ** რუსეთის ჩრდილო დედაქალაქ სანქტ-პეტერბურგში, პლაჟის ფრენბურთში, წლევანდელი საზაფხულო ბოლო ბობოლა ევროტურნირი დაიწყო, რომელსაც მსოფლიო რეიტინგში გვარიანად ქულები მოაქვს, საპრიზო კი 450 ათასი დოლარია.

გუშინ ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი იყო, სადაც ჩვენი წყვილებიდან მხოლოდ ქალებმა, საქამ და რთველომ ითამაშეს.

მაღალი რეიტინგის გამო, ჩვენი კაცები გეორ და გია პირდაპირ ძირითად ბადეში მოხვდნენ და საკვალიფიკაციო ეტაპი ამად გამოტოვეს.

კაცები ტურნირს დღეს დაიწყებენ, გუშინ კი ჩვენი ქალების დღე იყო. კრისტინამ და ანდრეზამ, იგივე საქა და რთველომ, საკვალიფიკაციო ეტაპი დაძლიეს და დღეს უკვე ძირითად ბადეში ითამაშებენ.

ჩვენი ქალები საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი წრისგან თავისუფლები იყვნენ, მეორე წრეში კი მექსიკელებს (რეისე და გაქსიოლას, საკმაოდ იოლად, სულ რაღაც 28 წუთში, 2:0-ით მოუმთავრეს საქმე და, როგორც ვთქვით, დღეს კაცებთან ერთად ძირითად ბადეში ითამაშებენ.

**ბაჩო სვანიძე**






სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მელაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge